საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 28 აპრილი. 2018 წ. №86-87 (8487-8488), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

„მეორე მოსვლა“!

ვინ მოიგებს, ვინ წააგებს?!

ჯერ კიდევ აქვს ხალხს თქვენი იმედი!..

ჩვენ ბევრ რამეს მოველით თქვენგან. თქვენ შერცხვენილი წახვალთ ამ ქვეყნიდან და წყალში გადაყრილი დარჩება თქვენი ქველმოქმედება და მილიარდები, თუ პარტიული სიმკაცრით არ გააერთიანეთ ქვეყანა. იხ. 2-3 გვ.

ნატოს კარი ახალი წევრებისთვის ღიაა!

ნატოს გენერალურმა მდივანმა ბრიუსელში ალიანსის მინისტერიალზე განაცხადა, რომ ნატოს კარი ახალი წევრებისთვის ღიაა.

„გასულ წელს მონტენეგროს ნატოში გაწევრება ცხადყოფს, რომ ალიანსის კარი ღიაა. ნატოს გაფართოება ისტორიული წარმატებაა. ყოველ ქვეყანას სუვერენული უფლება აქვს, აირჩიოს საკუთარი გზა თავისი უსაფრთხოებისთვის“, – აცხადებს სტოლტენბერგი.

საქართველომ ევროპარლამენტს ახალი სამშვიდობო ინიციატივა წარუდგინა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი ევროპარლამენტში ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა.

სახელმწიფო მინისტრმა კომიტეტს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა და შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკა გააცნო. მან თავის გამოსვლაში ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ სიტუაციაზე ისაუბრა, იმ მძიმე ყოველდღიურობაზე, რაც მოუგვარებელი კონფლიქტის შედეგად გადაუჭრელ პრობლემად რჩება. აღნიშნა, რომ 2008 წლიდან, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, მოსახლეობა ხელოვნური გამყოფი ხაზის ორივე მხარეს სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას.

სახელმწიფო მინისტრმა დეტალურად ისაუბრა არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიას და დავით ბაშარულის სიცოცხლის ხელყოფის შესახებ. მისი თქმით, აღნიშნული პირებისადმი განხორციელებული ქმედებები არის პროვოკაცია მიმართული საქართველოს დეკლარირებული კურსის – მშვიდობის და შერიგების წინააღმდეგ.

ქეთევან ციხელაშვილმა თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკას და აღნიშნა, რომ იგი ორიენტირებულია კონფლიქტის გადასაჭრელად მშვიდობიანი, პრაგმატული და კონსტრუქციული გზების მონახვაზე.

„სამშვიდობო ინიციატივის პაკეტი არის საქართველოს მთავრობის შერიგებისა და ჩართულობის დღის წესრიგის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც, სხვა სამშვიდობო ინიციატივებთან და დაგეგმილ ნაბიჯებთან ერთად, ემსახურება მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას გამყოფი ხაზების ორივე მხარეს, ნდობის და მშვიდობის მშენებლობას“.

გოგა ხაინდრავა: ისევ ნაციონალების ოპოზიციურ ჭაობში ვცხოვრობთ!

4

თანამედროვე გენიოსები

ჰოკინგის გამოსხივება

10

ღვინო - ქართული, გადაზიდვა - სომხური!!!

11

რატომ მიდიან რუსეთის მოქალაქეები აშშ-ის ვიზის მისაღებად საქართველოში?!

ივანე ამირხანაშვილი ემზარ კვიტაიშვილის შემოქმედების შესახებ

5

„თუ დამჭირდა, ქვასაც ვკბილობ“

ჯუმბერ სარდლიშვილი: თანამედროვე „სიბრძნე სიცრუისა“

6



გიორგი კვირიკაშვილმა მაიკ პომპეოს აშშ-ის სახელმწიფო მდივნად დამტკიცება მიულოცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მაიკ პომპეოს აშშ-ის სახელმწიფო მდივნად დამტკიცებას ულოცავს და წარმატებულ საქმიანობას უსურვებს.

„ვულოცავ მაიკ პომპეოს რიგით 70-ე სახელმწიფო მდივნად დამტკიცებას! ვუსურვებ წარმატებას მომავალ საქმიანობაში. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული პარტნიორობა კიდევ უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება“, — წერს გიორგი კვირიკაშვილი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ საკუთარ გვერდზე.

ივანიშვილი მედიას ყრილობის შემდეგ შეხვდება

ყრილობის ჩატარების შემდეგ პარტიის თავმჯდომარე არ მოერიდება მედიასთან კომუნიკაციას— ეს განცხადება, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გააკეთა. არჩილ თალაკვაძემ კითხვაზე — გეგმავს თუ არა ივანიშვილი მედიასთან გაფართოებულ ფორმატში შეხვედრას, თქვა, რომ ბიძინა ივანიშვილის მედიასთან კონტაქტი ყრილობის შემდეგ შედგება, როდესაც მას „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის თანამდებობაზე აირჩევენ.

სოფო კილაძეს ამბიციები არ აწუხებს

„როდესაც საჭირო არის და სადაც საჭირო არის, იქ უნდა ვიყო და თუ ჩათვლის პარტია, რომ არ არის სოფო კილაძე საჭირო, რა თქმა უნდა, მე ამის საწინააღმდეგო არაფერი არ მექნება,“ — აცხადებს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი სოფო კილაძე „ოცნების“ პოლიტსაბჭოს მოსალოდნელ შემცირებასთან დაკავშირებით. კილაძე ამბობს, რომ ცვლილებები მმართველი გუნდისა და ქვეყნის სასიკეთოდ ხდება. **„გადახალისება იქნება ისევ და ისევ ჩვენი პარტიის და ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით“,** — აცხადებს კილაძე.

დაზვერვის სამსახურის დასახმარებლად ყველაფერი გაკეთდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე საქართველოს დაზვერვის სამსახურს ესტუმრა, სადაც სამსახურის ხელმძღვანელს დავით სუჯაშვილსა და უწყების თანამშრომლებს შეხვდა.

პარლამენტის თავმჯდომარემ და დაზვერვის სამსახურის უფროსმა შეხვედრაზე უწყებაში მიმდინარე რეფორმებზე, რეგიონში შექმნილ ვითარებასა და უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოს პარლამენტსა და დაზვერვის სამსახურს შორის მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობა.

უწყების თანამშრომლებთან გამართულ შეხვედრაზე ირაკლი კობახიძემ პარლამენტის მხრიდან სამსახურის მიმართ მხარდაჭერა დაადასტურა და უწყების საქმიანობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაზვერვის სამსახურსა და მის თითოეულ თანამშრომელს ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და ეროვნული ინტერესების დაცვაში.

„მოხარული ვარ, რომ დღეს თქვენთან სტუმრობის საშუალება მაქვს. ბატონ დავითს გადავუხდი პირადად მადლობას ამ შესაძლებლობისთვის. ბუნებრივია, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა პარლამენტსა და დაზვერვის სამსახურს შორის. ჩვენ მზად ვართ, რომ მხარი დავუჭიროთ სამსახურს. ჩვენ გვქონდა დღეს ამაზე საუბარი — რაც არის საჭირო პარლამენტის მხრიდან მხარდაჭერის კუთხით, ყველაფერი გაკეთდება, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებები, თუ რამე იქნება საჭირო, ჩვენ მზად ვართ, რომ მაქსიმალურად სწრაფ ტემპებში განვიხილოთ შესაბამისი ინიციატივები მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე. ნამდვილად ფასდაუდებელია ამ სამსახურის როლი ჩვენი სახელმწიფო სისტემის ფუნქციონირებისთვის, ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვისთვის და აქედან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან იქნება განსაკუთრებული ყურადღება. თითოეული თქვენგანის წვლილი ჩვენი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში არის, ბუნებრივია, განსაკუთრებული. სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისთვის ის საქმე, რომელსაც თქვენ აკეთებთ, არ ჩანს, თუმცა, ჩვენ ვიცით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული იმ ადამიანის წვლილი სახელმწიფოს განვითარების, სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში, რომელიც არის ამ სამსახურში წარმოდგენილი, ჩვენ ძალიან ვაფასებთ თქვენს მიერ გაწეულ მუშაობას“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ და მჭიდრო თანამშრომლობისთვის მზადყოფნა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

მისივე თქმით, დაზვერვის სამსახურში შთამბეჭდავი ცვლილებები ხორციელდება, რომლებიც, მისი შეფასებით, უწყებას საუკეთესო სტანდარტების სამსახურად ჩამოაყალიბებს.

„ჩვენ ძალიან ვაფასებთ იმ ფაქტს, რომ ბატონი დავით სუჯაშვილი ხელმძღვანელობს ამ სამსახურს, მის შესანიშნავ გუნდთან ერთად. ცვლილებები, რომლებიც ხორციელდება სამსახურში, არის თვალსაჩინო — პირველივე შთაბეჭდილება, რომელსაც ქმნის სამსახურის ახალი შენობა, ბუნებრივია, არის საუკეთესო და ეს არის მხოლოდ, ასე ვთქვათ, პირველი შთაბეჭდილება. რაც შეეხება ცვლილებებს, ამაზე გვქონდა ჩვენ საუბარი, ცვლილებებზე, რეფორმებზე, რომლებიც ხორციელდება სამსახურის შიგნით და ეს ცვლილებებიც არის შთამბეჭდავი. საბოლოო ჯამში დარწმუნებული ვარ, რომ ის ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება სამსახურის განვითარებისთვის, შედეგად მოგვცემს საუკეთესო სტანდარტების სამსახურს, რომელიც სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც თანამედროვე სივრცეში არის წაყენებული დაზვერვის სამსახურების მიმართ“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ირაკლი კობახიძემ დავით სუჯაშვილსა და უწყების თანამშრომლებს მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარლამენტი მზად არის, განიხილოს ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც სამსახურისა და მისი რესურსების კიდევ უფრო განვითარებას შეუწყობს ხელს.

„ის დევიზი, რომელიც გასდევს თან თქვენს მუშაობას, საუკეთესოდ გამოხატავს იმ ფუნქციებს, რომელიც თქვენ გაქვთ დაკისრებული, საუკეთესოდ გამოხატავს თქვენი სამუშაოს დატვირთვას და მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ სულისკვეთებით ახორციელებს თითოეული თქვენგანი ამ სამუშაოს, რისთვისაც ბუნებრივია, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ“, — მიმართა დამსწრეებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

ჯერ კიდევ აქვს ხალხს თქვენი იმედი!..

ლია ბარათი

ბატონ ბიძინა ივანიშვილს 2017 წლის 22 ნოემბრის „რუსთავი 2“-ის „აქცენტების“ გამო

ბატონო ბიძინა, თქვენი პარტიაში დაბრუნების ჩემთვის მეტად სასიხარულო ფაქტმა კიდევ ერთხელ ჩამახედა ჩემს ჩანაწერებში, სადაც თქვენდამი მოწერილი ბარათი აღმოვაჩინე, რომელიც მაშინ არ გამომიძვეყნებია. თქვენმა დაბრუნებამ სურვილი გამიჩინა, რომ ახლა გამოვაძვეყნო ეს წერილი დღევანდელი სულისკვეთების ჩართვით:

ნივრის მწნილით პირამყრალებულმა სოფლელმა დედაკაცმა — საერთაშორისო არაადამიანურობის, ცილისწამების და შანტაჟის შავფერადი ყუთიდან მთელ საქართველოს ამცნო „უხილავი ადამიანის“ ბოროტმოქმედება, რომელმაც თურმე წელში გატეხა საქართველოს ეკონომიკა და მორალური სიმტკიცე.

თქვენ, ბატონო ბიძინა! — ხალხი გსაყვედურობთ იმას, რომ ხალხს ბოლომდე ვერ მოაშორეთ შავი ჭირი ნაციონალების სახით, რომ ნაციონალების მიერ დაყაჩაღებულ და გაძარცულ საქართველოს და მის მოქალაქეთა უმრავლესობას ვერ დაუბრუნეთ ნაძარცვი ქონება, რომელიც მენშევიკების დარად გაიტაცეს გაქცეულმა ნაციონალური მოძრაობის „უთავო თავკაცებმა“, რომ საპყრობილეში და გარეთ პატივაყრილ ადამიანებს ვერ გაუმართლეთ ნდობა და დღეს სიტყვით თუ საქმით საქართველოს კვლავ აუპატიურებს ყოველგვარ სინდისის ზღვარს გადასული „წასული“ ხელისუფლება.

მე თქვენი დუმილით ნერვებაშლილი და საქართველოს დაშლის მოლოდინით გულშეწუხებული, არ გიმალავთ ჩემს სათქმელს, ვამბობ პრესით თუ ტელევიზიით. როგორც არასამთავრობოებთან მხარდაჭერილი ნაციონალების ავი მუქარებიდან ჩანს, თქვენ უნდა გაგსრესონ და ქვეყანას ისევ ხელუკუღმართი ხელისუფლება დაუბრუნდეს.

ბატონო ბიძინა, შეიგონეთ ხალხის ხმა! თქვენ ხალხმა აგირჩიათ! დღეს საქართველოს გარეშე თუ შიდა მტრებს უნდათ თქვენი გასრესა და განადგურება. გჯეროდეთ, თქვენ ვერც რუსეთი და ვერც ამერიკა ვერ გადაგარჩენთ, თქვენ ან მგელი შეგჭამთ და ან მგლისფერი ძაღლი. თქვენი გადარჩენა დღეს მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია, გადაჭარბებულია? — არა, რა თქმა უნდა, მაგრამ ხალხს კიდევ ახსოვს სამება და რუსთაველი, ოპერისა და ბალეტის თეატრი, თქვენ მიერ შიმშილს გადარჩენილი ქართველი ინტელიგენცია და სხვა მრავალი და მრავალი, რაც რამდენიმე მილიარდს მოიცავს. ხალხში ჯერ კიდევ არის მადლიერების გრძნობა. გამოიყენეთ იგი! თქვენს თავზე შავი ღრუბელი ტრიალებს, რაც საქართველოს უბედურებასაც მოასწავებს.

მიაფურთხეთ ეშმაკს, რესპუბლიკელებს, ამერიკელებს, რუსეთს, მიენდეთ თქვენს ხალხს, პატრიარქთან ერთად აიღეთ ხელში ჯვარი ქრისტესი და შეკარით ერთ მუშტად მთელი საქართველო. მხოლოდ მაშინ იქნებით გამარჯვებული, მდიდარიც და დაცულიც.

თქვენ ახლა ეშმაკს ხართ მიყიდული და იმას აკეთებთ, რაც არ გინდათ, ლაპარაკობთ იმას, რასაც არ ფიქრობთ. გჯერათ, რომ თქვენი დუმილით იცავთ თქვენს უსაფრთხოებას, როდესაც ქვეყანა თავზე გენგრევათ.

მე ასაკში შესული კაცი ვარ. არაფერი მჭირდება თქვენგან და თქვენი ხელისუფლებისგან, გარდა მშვიდი სიბერისა. არ მინდა მხოლოდ, რომ „ბოროტმა სძლიოს კეთილს“.

ბატონო ბიძინა! უაღრესად მახარებს კვლავ თქვენი პოლიტიკაში დაბრუნება.

ჭკვიანები თავიანთ შეცდომებზე სწავლობენ.

სულელები — სხვების შეცდომებსაც არ ითვალისწინებენ!

ვფიქრობ, თქვენ დროულად შეაშველეთ ხელი იმ ურემს, რომელიც გადაბრუნებას აპირებდა. ქვეყანა ზევიდან არ შენდება, ქვეყნის მშენებლობა ძირიდან იწყება და თქვენი პარტიული მუშაობაც იმ რგოლებისა და ორგანიზაციების შექმნით უნდა დაიწყოთ, რაც ორგანიზაციის არა აჩრდილი, არამედ ადგილებზე კონტროლის მკაცრი მექანიზმი იქნება.

ჩვენ ბევრ რამეს მოველით თქვენგან. თქვენ შერცხვენილი წახვალთ ამ ქვეყნიდან და წყალში გადაყრილი დარჩება თქვენი ქველმოქმედება და მილიარდები, თუ პარტიული სიმკაცრით არ გაერთიანეთ ქვეყანა.

დემოკრატიის აკვანში — რომში განსაზღვრული დროით ირჩევდნენ დიქტატორს და დიქტატურა მყარდებოდა. ყველა პარტია ყველა ქვეყანაში პერიოდულად წმენდას განიცდის, ალბათ, თქვენც „სანიტარიულ დღეებს“ დანიშნავთ პარტიაში და გაწმენდთ უწმინდურთაგან. შეზღუდავთ არასამთავრობოთა პარპაშს ქვეყანაში, გააძევებთ ქვეყნის ტერიტორიიდან მეხუთე კოლონას, ნაწილობრივ დროებით შეზღუდავთ პრესას და ტელევიზიას. სატელევიზიო ფირებიდან ხალხმა და ხელისუფლებამ ფერმებში და ბაღებში უნდა გადაინაცვლოს, რათა ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგეს. ახალი ფურცლიდან უმკაცრესი ზომები გაატარეთ ყველა შინაურსა და გარეშეზე, ვინც სახელმწიფო დისციპლინას დაარღვევს გონივრული დემოკრატიის პირობებში.

დემაგოგია გადავიყვანოთ ზომიერი, გაწონასწორებული დემოკრატიის კალაპოტში და ქვეყნის აღმშენებლობა დავიწყოთ სრული სვლით.

თქვეენი ერთგული ადამიანები, რომელთა მხარდაჭერითაც მოხვედით ხელისუფლებაში და მეხუთე კოლონამ გაიძულათ იმათი სახლში გაშვება, კვლავ მოუხმეთ იმათ. „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“. თქვენი „გაგდებული“ ოთხი თუ ხუთი ერთგული ადამიანი მთელი თქვენი დღევანდელი პარტიული აქტივის ფასია.

საქართველოს ჭეშმარიტ პატრიოტებს იმედი გვაქვს, რომ თქვენთვის ჩვეული მიზანმიმართული ძალისხმევითა და პრინციპულობით ურმის გადაბრუნებამდე დაგვაყენებთ გადარჩენის გზაზე.

კეთილი სურვილებით
გრიშა ონიანი

ვინ მოიგებს, ვინ წააგებს?!

„ჩემი დაბრუნება, რა თქმა უნდა, არ იქნება სწორი, თუ ამის აუცილებლობა არ დადგა და ღმერთმა ნუ ქნას, დადგეს. მეორედ მოსვლას ვადარებ ჩემს მოსვლას. თუ რაღაც უბედურება დატრიალდა საქართველოში. ერთ-ერთმა ექსპერტმა ბრძანა, რომ მას არ უყვარს პოლიტიკაში ყოფნა და იმიტომ წავიდაო. მე საერთოდ არ მიყვარდა საჯაროობა, მაგრამ რომ დასჭირდა ქვეყანას, მოვედი. მოვედი ყველაზე რთულ დროს და დღეს რა შემიშლის ხელს, თუ ამის აუცილებლობა დადგება, როდესაც გაცილებით იოლი და მარტივია ხელისუფლებაში ყოფნა.“

ეს თვალსაზრისი ბიძინა ივანიშვილმა 2015 წლის 28 იანვარს ტელეკომპანია იმედის ეთერში, პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ კითხვის საპასუხოდ გამოხატა.

ბიბლიის მიხედვით მეორედ მოსვლა მოხდება მას შემდეგ, რაც ადამიანები დაივიწყებენ ჭეშმარიტ ღმერთს, გარყვნილება და სხვადასხვაგვარი ურჯულოებანი მომრავლდება.

ვინ მოიგებს და ვინ წააგებს ივანიშვილის მოსვლით?

მმართველ ძალაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა საკმაოდ ბევრი და უხერხული შეკითხვა გააჩინა არა მხოლოდ პარტიის წევრებს შორის, არამედ ხალხის, საქართველოს მოსახლეობის იმ დიდ ნაწილში, რომლებიც დაიღალნენ ჩამოუყალიბებელი და გაურკვეველი პოლიტიკური ვითარებით. იმ პოლიტიკური ცხოვრებით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უკვე 25 წელზე მეტია, დამყარდა. პოლიტიკური ცხოვრებით, რაც წესით ნებისმიერი ჩვენგანის აწმყოს და მომავლის განმსაზღვრელი უნდა იყოს.

არსებული სტანდარტებით მიღებულია, რომ მმართველი პოლიტიკური ძალის თავმჯდომარე, ქვეყნის პირველი პირი ხდება. ეს წესი უამრავ ევროპულ ქვეყანაში „მუშაობს“ და ცხადია, საქართველოც არ არის გამონაკლისი.

სამწუხაროდ, გიორგი კვირიკაშვილმა, რომელიც ერთდროულად იყო როგორც პარტიის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი, ვერ შეძლო პარტიის მართვა.

ვერ შეძლო ორი უმთავრესი მიზეზის გამო:

პირველი არის ის, რომ კვირიკაშვილის მთავრობას საკმაოდ ბევრი ნაღმი ჰქონდა გასაუვნებელი. ნაღმები, რომლებიც 2012 წლამდე უხვად იყო ჩადებული ქვეყნის ყველაზე სასიცოცხლო სფეროებში. ცხადია, რომ 2012 წლის შემდეგ მდგომარეობის გამოსწორება დაიწყო, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, ქვეყნის განვითარების დონე მოსახლეობის კეთილდღეობაზე ვერ აისახა.

კვირიკაშვილმა მოახერხა და მდგომარეობა აღმასვლის გზაზე დააყენა. მან შესძლო როგორც ინვესტიციების მოზიდვა, ისე ქვეყნის შიდა წარმოების განვითარებისთვის განსაკუთრებული და ჯანსაღი პირობების შექმნა. დაიწყო სტარტაპების წახალისება, ფინანსთა სამინისტრო დგამს მკვეთრ და კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლებიც მალე უნდა აისახოს მოსახლეობის ყოველდღიურობაზე და უმთავრესი — შიდა პოლიტიკური მდგომარეობის ფონზე, გიორგი კვირიკაშვილმა გადადგა უაღრესად აუცილებელი და შეიძლება ითქვას გმირული ნაბიჯი, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების მიმართულებით.

პრემიერის ყველა წარმატებას ახლა არ აღვწერ, მაგრამ ცხადია, რომ იმ დაძაბული სამუშაო გრაფიკის ფონზე, პარტიული საქმიანობის მისახედად, მას ფიზიკურად დრო და პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილებაც არ ეყოფოდა.

ამით კარგად ისარგებლეს ე.წ. „ნუვო-ოცნებისტებმა“, რომლებიც თვიანთი არსით პირწავარდნილი ნაცები არიან და სხვადასხვა მიზეზის გამო, თავის დროზე სააკაშვილის გუნდში ვერ მოხვდნენ (ასაკი, მწირი შრომითი გამოცდილება, თანაც სააკაშვილს იმ პერიოდში უფრო ძალისმიერი მიმართულების ხალხი სჭირდებოდა დ.ა.შ.).

„ნუვო-ოცნებისტებმა“ მოიპოვეს გავლენა აღმასრულებელი ხელისუფლების შუა რგოლის საკადრო პოლიტიკაზე და თავიანთი პოლიტიკური გემოვნების ხალხით გაავსეს ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სეგმენტი. როგორც ვთქვი, მათი პოლიტიკური გემოვნება კი ერთი-ერთში ემთხვევა ბოკერიას პოლიტიკურ მრწარმსს და სწორედ ამიტომ დაიწყო „ქართული ოცნების“ ნამდვილი წევრების გაღიზიანება, ნაცებიდან პორტირებული ხალხის დაწინაურების მიმართ.

90-იანებში ერთ პოლიტიკურ შეკრებაზე ვიყავი, სადაც მთავარი თემა შევარდნაძესთან დამოკიდებულების განსაზღვრა იყო. ქალბატონმა ლუიზა შაკიაშვილმა თქვა, რომ ის დიდი პოლიტიკოსია და მის კურსს უნდა გაყოლოდა მაშინდელი პოლიტიკური სპექტრი.

მამუკა გიორგაძე გამოვიდა სიტყვით და ასეთი გაბედული ფრაზა თქვა: — შევარდნაძეს, რომელიც იყო რუსეთის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი და მმართველობის პირველ ხუთეულში შედიოდა, ქვეყანა დაენგრა და როგორ უწოდებთ მას დიდ პოლიტიკოსს?

აქედან ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება — ის ან სუსტი პოლიტიკოსია, ან მარიონეტი.

დღეს „ოცნებას“ ვეკითხები: როგორ უწოდებთ ვინმეს ძლიერ სპეციალისტს, რომელსაც მმართველი პოლიტიკური ძალა, რომლის მსახურიც იყო, დამარცხდა, თავზე დაენგრა და თქვენს სამსახურში მოგყავთ? რა გარანტია გაქვთ, რომ თქვენც იგივეს არ დაგმართებთ?

დაიხსომეთ: — ნაცები ხალხმა, გაზეთებმა „საქართველოს რესპუბლიკამ“, „ასავალ-დასავლმა“, „ობიექტივმა“, ქუჩის გაზეთმა „შანსმა“ დაამარცხა. დაამარცხა პირდაპირი ბრძოლით!

ეს ხალხი, თქვენი „კოჰაბიტაციის“ გამო ისევ ფორმაშია!

პარალელურად მიდიოდა ძალიან ფართომასშტაბიანი პიარი ბიძინა ივანიშვილის ჩრდილოვანი მმართველობის შესახებ და ხალხის ცნობიერებაში იმის დამკვიდრება, რომ ყველა საკადრო საკითხის გადაწყვეტა სოლოლაკის სასახლეში ხდება.

ამას, მიუხედავად მმართველი ძალის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულებისა, „ექსპერტი“ გიორგი ხუხაშვილიც ადასტურებს. საკადრო პოლიტიკაზე მან ინგა გრიგოლიას „რეაქციაში“ საკმაოდ რეალურად ისაუბრა.

არადა, დარწმუნებული ვარ, რომ რომელიმე სამსახურის, დეპარტამენტის ან პიარის უფროსის დანიშვნას ივანიშვილს ნამდვილად არ უთანხმებდნენ.

„ნუვო-ოცნებისტებმა“ ჩათვალეს, რომ ბიძომ ჩვენ საჭე მოგვცა, თვითონ წავიდა და ჩვენი „აჩოტების“ სჯერაო.

აი, მანდ “დაერხათ“!

ივანიშვილი, პირველ რიგში, ბიზნესმენია!

მან გაიგო (იცოდა), რომ მის ფილიალში ვირთხები შეძვრნენ და მდგომარეობის გამოსწორება დააპირა.

საკმაოდ საინტერესო შეფასებები გაკეთდა სხვადასხვა ხალხის მხრიდან.

„მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ გაცხადდა, ქართული ოპოზიციური სპექტრის ძლივს შერჩენილი ღირსებისა და კვალიფიკაციის ხელში დნობას ვაკვირდებით, რაც ძალიან საბრალო საყურებელია“, — ამის შესახებ მულტიმედიური პლატფორმა „პოსტივის“ აღმასრულებელმა დირექტორმა **ლაშა ნაცვლიშვილმა** გადაცემაში „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ სტუმრობისას განაცხადა.

„ადამიანები, რომლებსაც რაღაც ტიპის კვალიფიკაცია და ლეგიტიმაცია უნდა ჰქონდეთ, პრაქტიკულად, არლეკინოებად იქცნენ. ეს ღირსების დაკარგვის, უღირსობისა და აბსოლუტური ცვედნობის დემონსტრირების მარათონი იყო, რაც არც ერთი წუთით არ მიხარია. ცალკე პრობლემაა ის, რომ ბიძინა ივანიშვილი მათი კოშმარია, შავი ხუთშაბათი კიდევ ერთხელ გაუთენდათ და თურმე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ოპოზიცია მისი ამონასუნთქი ნახშირორჟანგით სუნთქავდა.

ოპოზიციური სპექტრი დღეს მთელი დღის განმავლობაში საუბრობდა, რომ ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა, მაგრამ როგორც აქამდე აცხადებდნენ, ის არც არსად წასულა. თუ არ წასულა, რანაირად დაბრუნდა?!“, — განაცხადა **ლაშა ნაცვლიშვილმა.**

ეგ კი არა და „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი იაგო ხვიჩიაც პოზიტიურად აფასებს ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას.

ძალიან საინტერესოა როგორც „ოცნების“, ასევე გარე „პოლიტიკანების“ დაბნეულობა, რომელთა თავში ერთი, უკვე რიტორიკული შეკითხვა ტრიალებს: მე რა ვქნა, მეეე? და ძალიან ლამაზი სანახავია ის, თუ როგორ შეჩქვიფდებიან ე.წ. პორტირებულები, რადგანაც თუ რას ეტყვიან ივანიშვილს „ძველები“, მათთვის გასაგებია.

იმათთვის, ვინც პარტიის თავმჯდომარის პოსტს ფორმალურ თანამდებობად თვლის და ფიქრობს, რომ ეს თანამდებობა პრემიერს მხოლოდ იმიჯისთვის უნდა ეკავოს, ვეტყვი, რომ ძალიან ცდებიან.

ი.ბ. სტალინს 1941 წლის მაისის ბოლომდე პარტიის გენერალური მდივნის პოსტის გარდა, არანაირი თანამდებობა არ ეკავა!.. ისტორიას სხვა მაგალითებიც ახსოვს, მაგრამ ყველას ვერ მოვიყვან.

ივანიშვილის პოლიტიკურ ველზე დაბრუნება კი იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება თავის საძმეს გააკეთებს, პარტიული — თავისას.

ასეთი გადანაწილება კი, დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნისთვის, პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღებისთვის ძალიან კარგი იქნება.

ასე რომ, დაველოდოთ მოვლენების საქართველოსთვის სასარგებლოდ განვითარებას.

გია გაბრიჭიძე
ტელ: 555591668

19 პარტია პრეზიდენტს ვეტოსკენ მოუწოდებს

საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციისგან შემდგარი ინტერპარტიული ჯგუფი პრეზიდენტს მიმართავს, პარტიათა დაფინანსების შესახებ კანონში ცვლილებებს ვეტო დაადოს. როგორც პოლიტიკური პარტიების ლიდერები აცხადებენ, პარტიათა დაფინანსების შესახებ კანონში „ქართული ოცნების“ მიერ შეტანილმა ცვლილებებმა დააკანონა პოლიტიკური კორუფცია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. მათივე შეფასებით, ეს არის ხელისუფლების მცდელობა, იყიდოს არჩევნების შედეგები ხალხის ფულით.

„როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა 18 აპრილს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონში ცვლილებები მიიღო, რომლითაც დააკანონა ახალი ნორმები პარტიათა დაფინანსების თაობაზე, რაც სხვა არაფერია თუ არა პოლიტიკური კორუფცია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დღეს შევა 19 პარტიის მიერ ხელმოწერილი წერილი, სადაც ვითხოვთ, რომ ამ უსამართლო კანონს პრეზიდენტმა ვეტო დაადოს“, — აცხადებს „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი მამუკა კაციტაძე.

„გარდა იმისა, რომ ივანიშვილი იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს, ის ასევე ხალხის ფულით ყიდულობს არჩევნების შედეგებს. „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ კანონს შეუძლია ერთ მაჟორიტარს შეუქმნას ფრაქცია პარლამენტში და შესაბამისად მისცეს 300 ათასის დაფინანსება ბიუჯეტიდან. ეს კანონი ემსახურება პოლიტიკურ კორუფციას და მოსყიდვას. ამიტომ პრეზიდენტს მივმართეთ თხოვნით, რომ გამოიყენოს ვეტოს უფლება“, — აცხადებს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი თინა ბოკუჩავა.

ოპოზიცია თვლის, რომ ხელისუფლება პრეზიდენტის ვეტოს დაძლევს, თუმცა მიიჩნევენ, რომ ვეტო აუცილებელია იმისათვის, რომ ამ თემაზე პარლამენტში წარიმართოს დებატები.

პარტიათა დაფინანსების შესახებ ინტერპარტიულმა ჯგუფმა საკუთარი წინადადებათა პაკეტიც მოამზადა, რომელიც მათივე შეფასებით უფრო სამართლიანი და გამჭვირვალეა.



ისევ ნაციონალების ოპოზიციურ ჭაობში ვცხოვრობთ!

ცნობილი რეჟისორი გოგა ხაინდრავა ჩვენი გაზეთის პარტნიორ „რეპორტიორს“ ევროპულ სტრუქტურებში არსებულ კორუფციაზე ესაუბრება:

საერთაშორისო კორუფციულმა ლობიზმმა იმხელა მასშტაბი შეიძინა, რომ საკუთარ ქვეყანაში უამრავი მძიმე დანაშაულით მსჯავრდებული ეს კაცი (მიხეილ სააკაშვილი) თავისუფლად დასეირნობს ევროპის ტერიტორიაზე, არღვევს კანონს, არღვევს იმ წესს, რომელზეც დგას, ზოგადად, ევროპული ცივილიზაცია და ევროკავშირი. მიუხედავად იმისა, რომ ის არის ძებნილი, მაინც განაგრძობს დანაშაულებრივ ქმედებებს.



— ევროპულ ინსტიტუტებში, სამწუხაროდ, პოლიტიკურ კორუფციას აქვს ადგილი და ამის ნათელი დადასტურება იყო, თავის დროზე, კარლ ბილდტის სკანდალი, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს, როდესაც გაირკვა, რომ ის რეგულარულად იღებდა ქრთამის სახით 300 000 ევროს სააკაშვილის მთავრობისგან და ამის საფასურად, ლობირებდა სააკაშვილის მთავრობას სხვადასხვა დონეზე და ჩქმალავდა იმ დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილი ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“. შემდეგი სტრუქტურა, სადაც ამ ყველაფერმა ღია ხასიათი მიიღო, ეს იყო ევროსაბჭო, სადაც ღიად და დაუფარავად ლობირებდნენ სააკაშვილს და მის გარემოცვას. არაერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც ჩამოდიოდნენ საქართველოში და განსაკუთრებით მას მერე, რაც სააკაშვილი კურდღელივით გაიქცა ქვეყნიდან და დაემალა საქართველოს მართლმსაჯულებას... მე მახსოვს დონ პედრო აგრამუნტის ვიზიტი საქართველოში, როდესაც ის მერაბიშვილს, ახალაიასა და ადეიშვილს პოლიტპატიმრებსა და პოლიტიკურ დევნილებს ეძახდა. ამის შესახებ მაშინაც ხმამაღლა ვსაუბრობდით, მაგრამ სამწუხაროდ, საერთაშორისო თანამეგობრობა ამაზე ყურს არ იბერტყავდა.

ეს საცეცები ძალიან ღრმად მიდის, ეს არ არის ცალკეული პოლიტიკური ჯგუფები, ეს საერთაშორისო დონის კორუფციაა. ამის მაგალითია „Freedom House“-ის უკანასკნელი ანგარიში, რომელიც გაჯერებულია სიცრუითა და ცილისწამებით. როგორც საერთაშორისო პრესაში აღინიშნა და საქართველოშიც გაჟღერდა ამის შესახებ, ეს ყველაფერი კორუფციული გარიგების შედეგია. თანხაც კი დასახელდა — 500 000 დოლარი. იმ ადამიანების კვალი, რომლებიც კურირებენ ამ ყველაფერს, პირდაპირ მიდის მიხეილ სააკაშვილთან და „ნაციონალურ მოძრაობასთან“.

— საკმაოდ მძიმე საკითხზე საუბრობთ. რა რეაგირება უნდა ჰქონდეს აღნიშნულ ფაქტებს ქართული სახელმწიფოს მხრიდან?

— ეს არის ძალიან სამწუხარო რეალობა. ეს რეალობა საქართველოში გაცხადებულია და ვფიქრობ, რომ ვინც ბრმა და ყრუ არ არის, ამ ყველაფერს კარგად ხედავს. მაგრამ სამწუხაროდ, საერთაშორისო კორუფციულმა ლობიზმმა იმხელა მასშტაბი შეიძინა, რომ საკუთარ ქვეყანაში უამრავი მძიმე დანაშაულით მსჯავრდებული ეს კაცი (მიხეილ სააკაშვილი) თავისუფლად დასეირნობს ევროპის ტერიტორიაზე, არღვევს კანონს, არღვევს იმ წესს, რომელზეც დგას, ზოგადად, ევროპული ცივილიზაცია და ევროკავშირი. მიუხედავად იმისა, რომ ის არის ძებნილი, მაინც განაგრძობს დანაშაულებრივ ქმედებებს. ეს არის რეალობა, რომელსაც კარგად უნდა ვხედავდეთ. შიდამოხმარების თვალსაზრისით, ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი აბსოლუტურად საკმარისია, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, რომელიც სამწუხაროდ, დღესაც საქართველოს ხელისუფლების გარკვეულ შტოებშია მოკალათებული, ბოლო მოეღოს. ეს უნდა დამთავრდეს. ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია და ამას ადასტურებენ თავად ამ ორგანიზაციის წევრებიც.

— რას გულისხმობთ?

— მაგალითად, მსჯავრდებული გოგა ონიანი, რომელმაც აღიარა, რომ წინა ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდა და პოლიტიკური ნიშნით დევნიდა ოპოზიციის წარმომადგენლებს. ეს მძიმე დანაშაულია. რატომღაც, დღევანდელ საზოგადოებაში და განსაკუთრებით ოპოზიციურ პოლიტიკურ ჭაობში, ამას ყურადღებას არ აქცევენ. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ქართველი საზოგადოება აქცევს ამას ყურადღებას. პრინციპში, ჩვენ ამის შედეგებს ვხედავთ კიდეც, არჩევნების დროს. მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოს მოსახლეობის გარკვეული პროცენტი მაინც აძლევს ხმას ამ დანაშაულებრივ ჯგუფს. ეს ძალიან სავალალო მდგომარეობაა.

იმედი მაქვს, რომ ამ ყველაფრის გაზრება მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ერთხელ და სამუდამოდ გავწყვიტოთ ურთიერთობები ამ სარკომასთან და დავიწყოთ ჯანსაღი ცხოვრება.

— ხელისუფლებას რა როლი ეკისრება ამ პროცესებში?

— რა თქმა უნდა, აღფრთოვანებული ვერ ვარ ამ მიმართულებით, რადგან მე ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი ვარ, ვინც მიიჩნევდა და ახლაც მიიჩნევს, რომ კოჰაბიტაციამ მხოლოდ ავნო ჩვენს ქვეყანას და არაფერი სარგებელი არ მოუტანია. მგლის თავზე სახარების კითხვას არანაირი აზრი არა აქვს. ვფიქრობ, ეს კოჰაბიტაციაც ზუსტად იმ პოლიტიკური კორუფციონერების მიერ იყო თავსმოხვეული საქართველოზე. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელია, ჩანს, რომ ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნებში გავდივართ. ამას კვლევებიც ადასტურებს. ჩვენზე გავლენები სხვადასხვა ჯგუფების, ქვეყნებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ძალიან დიდია და ეს კარგად ჩანს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედებაში, რომელთა ერთი ნაწილიც პირდაპირ ცილისწამებითაა დაკავებული. „Freedom House“-ის უკანასკნელი ანგარიში ზუსტად იმაზე მეტყველებს, რომ პირდაპირ ცილისწამებაში იღებენ ფულს.

განსაკუთრებით გამოირჩევიან კაპიტანი გიგაური და მისნაირი მოღვაწეები. ეს ადამიანები ფულს ზუსტად იმაში იღებენ, რომ ცდილობენ, სხვადასხვა ქვეყნების, პოლიტიკური ჯგუფებისა და გაერთიანებების გავლენები გააძლიერონ საქართველოში, რომ ქართული ხელისუფლება არ იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი თავის მოქმედებაში.

სამწუხაროდ, ეს არის რეალობა. მაგრამ მე უარეს რეალობაში დავიბადე, საბჭოთა კავშირში, სადაც კომუნისტური ზეიმი იყო და იმ რეალობაშიც გვიწევდა ცხოვრება. მაგრამ დრო ყველაფერს კურნავს და დარწმუნებული ვარ, ამ უბედურებასაც განკურნავს ადრე თუ გვიან და საქართველოში მოღვაწე ორგანიზაციები ქვეყნის ინტერესებისთვის მოქმედებას დაიწყებენ.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ქართველ საზოგადოებას რასიზმშიც კი ადანაშაულებენ!

— დიახ, ბოლო დღეების განმავლობაში, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, მსგავსი კომენტარები მრავლად მოვისმინეთ.

— ეს ზუსტად ის გამოვლინებაა, რაზეც ვსაუბრობდი. ეს არის გარკვეული ჯგუფების ინტერესი, რომ რაც შეიძლება მეტი სადავო გაჩნდეს ქართველ საზოგადოებაში. მაგალითად, სიტყვა რასიზმის მოხსენიება საქართველოს მისამართით, როდესაც ქართველებმა კანის სხვა ფერის მქონე ადამიანები პირველად 10-15 წლის წინ იხილეს, არასერიოზულია. რასიზმი, ეს არის ფესვებგამჯდარი, საუკუნოვანი ურთიერთობები გარკვეულ ეროვნებებს შორის, რომელიც ჩამოყალიბდა სხვადასხვა ქვეყნებში. რასიზმს ძალიან ღრმა ფესვები აქვს. რასიზმი ცარიელ ადგილზე არ იბადება და მით უმეტეს არ იბადება იმ დროს, როდესაც ერთი მუჭა ადამიანები არიან ჩამოსული საქართველოში. რასიზმი ნამდვილად უცხო ხილია ქართველებისთვის. ეს არის უსინდისობის, აბსოლუტური უზნეობის ძალიან ნათელი გამოვლინება, როგორც მაუწყებლობაში, ისე ამ ე.წ. არასამთავრობოების მხრიდან. ეს არის ცილისწამება. ქართული პრესის დიდი ნაწილი და არასამთავრობო ორგანიზაციები დაკომპლექსებულია, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ჯანსაღია, დაცულია ამ პათოლოგიებისგან და არ იზიარებს ამ ყველაფერს. როგორც ერთი მერცხალი ვერ მოიყვანს გაზაფხულს, ისე რამდენიმე დაკომპლექსებული ადამიანი ვერ შექმნის მათთვის სასურველ წარმოდგენებს საქართველოზე, რომ აქ რასიზმის მსგავსი რაიმე შეიძლება გაფაჩუნდეს. ეს აბსოლუტურად უცხოა ქართველი საზოგადოებისთვის.

ესაუბრა
ნინო სტეფანიშვილი

ბათუმში ყინულის სასახლე შენდება

ბათუმში ყინულის სასახლის მშენებლობის სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით უკვე დასრულებულია საძირკვლის მოწყობა და რკინა-ბეტონის სამუშაოები ხორციელდება, რაც სვეტების მოწყობას და გადახურვას მოიცავს.

მშენებლობის პროცესში ამ დროისთვის 50 ადამიანია დასაქმებული. მიმდინარე სამუშაო პროცესს დღეს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე პირველ მოადგილესთან დავით მაკარაძესთან ერთად გაეცნო. მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მინისტრს საპროექტო ორგანიზაცია BWC-ის ხელმძღვანელმა ასთამურ ჩაზმავამ მიაწოდა. ყინულის არენისა და საცურაო აუზის პროექტს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შპს „სტადიონი“ ახორციელებს. ყინულის არენა სპორტის სასახლის მიმდებარედ შენდება და ჭადრაკის მსოფლიოს ოლიმპიადის მსვლელობისას დამატებით სივრცედ იქნება გამოყენებული.

დახურულ სპორტულ კომპლექსში — ყინულის არენაზე ტრიბუნები 1500 ადგილზე განთავსდება. ყინულის არენისა და საცურაო აუზის კომპლექსის საორიენტაციო სამშენებლო ფართობი 16 000 კვ. მეტრია, საიდანაც ყინულის არენა — 10500 კვ.მეტრზე, ხოლო საცურაო აუზი 5500 კვ.მეტრზე მოეწყობა. ყინულის არენაზე სასწავლო-სავარჯიშო პროცესისა და სხვადასხვა დონის შეჯიბრებების ჩატარება იქნება შესაძლებელი. კერძოდ, ფიგურული სრიალი — ჰოკეი — ასევე, ციგურებზე მასობრივი სრიალი, კულტურულ-სანახაობრივი და გასართობი ღონისძიებები, კონცერტები და გამოფენები.

კეთილმოეწყო კორპუსთან მიმავალი გზები

ზესტაფონის ქ. №18ა-ს მიმდებარედ საცხოვრებელი კორპუსების მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. საგზაო სამუშაოებს ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე ადგილზე გაეცნო.

„აღნიშნულ მისამართზე კორპუსებში მცხოვრებ მოსახლეობას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობის გამო, წლების განმავლობაში ექმნებოდა დისკომფორტი. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ადილობრივი მოსახლეობა ისარგებლებს კეთილმოწყობილი გზით და წვიმიან ამინდში მოქალაქეებს გადაადგილების პრობლემა აღარ ექნებათ,“ — განაცხადა ნაძალადევის რაიონის გამგებელმა.

პროექტის ფარგლებში, მოეწყო ბორდიური, ტროტუარი და 1300 კვ.მ ფართობზე იგება ორი ფენა ასფალტის საფარი. ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაძალადევის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან ფინანსდება.

„თუ დამჭირდა, ქვასაც გავთლი“





ერთგულება. ამ სიტყვით შეგვიძლია დავახასიათოთ ემზარ კვიტაიშვილის პოეტური მოღვაწეობა. მისი ბოლოდროინდელი ლექსები ადასტურებს იმას, თუ რას ნიშნავს, იყო ტრადიციის ერთგული და, ამავე დროს, იყო ახალი, განახლებადი ენერგიის დამტევი შემოქმედი, რომელშიც ორი საწყისი აერთიანებს და ამთლიანებს პოეტურ მრწამსს – ინტელექტი და შთაგონება. ინტელექტი, როგორც კლასიკური მემკვიდრეობის სიღრმისეული გააზრება და შთაგონება, როგორც თვითკმარი პოეტური მდგომარეობა.

იშვიათია ჩვენში პოეტი, ასე კარგად და გააზრებულად იცნობდეს ლექსის თეორიასა და მის პოეტიკურ ნიუანსებს. ამ ერთი შეხედვით ლაღად და თავისუფლად ამოთქმულ სტრიქონებში იგრძნობა ერუდირებული და გემოვნებიანი ავტორის მკაცრი ხელი. ყველაფერი იუველირის თვალით არის აწონილ-გაზომილი. მასალაზე, რომ იტყვიან, თავდავიწყებით მუშაობს. ძალასა და ენერგიას არ ზოგავს იმისთვის, რომ შთაგონებით ნაკარნახევი სათქმელი შესაბამის გარსში მოაქციოს და შექმნას ფორმისა და შინაარსის ბედნიერი ჰარმონია.

მის ლექსს თვალდათვალ ეტყობა ნაწრთობი ოსტატის ხელი. აქ ბგერა ქმნის მნიშვნელობას – ესეც გამოცდილების ნიშანია. თუმცა პირველი, რაც თვალში გეცემა, ეს არის რითმა და რიტმი. რითმით ევფონია არ არსებობს თავისთვის, თავისთავად, სუფთა სახით. შინაარსს ატარებს, აწესრიგებს ლექსის სტრუქტურას, აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას, აყალიბებს კონტექსტს და კრავს კომპოზიციურ კარკასს, რომლის ჯვარედინი „სამაგრები“ ყველა მიმართულებით იკავებს სიმძიმეს:

მობეზრებული მე ვარ პროსპერო,
შუშაში ვხედავ სხივებს, არეკლილს;
ნათურის ნამჯა, მოოქროსფერო
ჩხვლეტს თვალებს, მჩხიბავს
წვეტი ნარეკლის.

საგანი უღიმის თავის ნიშანს. რიტმი მოძრაობს, მიდის, მიედინება, ლივლივებს თავის ჰარმონიაში და უცებ ჩნდება სიგნალი – მეტაფორა, როგორც სემაფორი ზღვაზე – ნიშანი, რათა შევჩერდეთ და გავიაზროთ, თუ როგორ გარდაიქმნება გამოთავისუფლებული ემოცია შინაარსობრივ ენერგიად.

სიტყვა თავისთავად და მასთან ერთად ეტიმოლოგია, შინაარსი, მუსიკა, ბგერა, მარცვალი, ფორმა, ფლექსია, სინტაქსი, ფრაზა – ემზარ კვიტაიშვილის სამშენებლო მასალა, რომელსაც ეტყობა, რომ იყენებს საქმეში ჩახედული პირი, შემოქმედი, „ლიტერატურული პიროვნება“, როგორც იური ტინიანოვი იტყოდა.

ლექსის კონსტრუქციული დიზაინი მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილებაა, შიგნით დანაწევრებულია და შედგება მრავალი ტეხილი ხაზისგან, მცირე დეტალისგან, ნაწყვეტისგან, შემთხვევითი გადახვევებისგან, რომლებიც წარმოსახვით დროსა და სივრცეში ერთიანდება. თითქმის ყველა ლექსში შეინიშნება სიუჟეტური მონახაზები, ოღონდ ეს არის არა ფაბულა, არამედ შინაგანი დინამიკის ჭდე, შეგრძნებათა და წარმოსახვათა დიალექტიკა, ფანტაზიის განვითარება. დომინანტის როლს ინტონაცია ასრულებს. მელოდიკა მყარია, ნაცნობი, დასამახსოვრებელი, ინდივიდუალური ხელწერის მაჩვენებელი. მინიშნება და ნახევარტონი უფრო „მუშაობს“, ვიდრე სინტაქსური აზრი, ამიტომ სათქმელი უფრო გადმოიცემა, ვიდრე წარმოითქმება. სიტყვასთან ერთად საგნები ქმნიან პოეტურ ველს, რომელიც მისტიკურ-რეალისტური ხილვებისგან შედგება. ზოგჯერ ხილულიც დაფარულია და თანდათან იხსნება კომპოზიციური განვითარების შესაბამისად. სევდიანი მოტივები, ეგზისტენციური თემები, მძაფრი განცდები და თვით ირონია, ბელეტრისტული ინტელექტის ნიშანი, მთლიანობაში ქმნის საერთო იერსახეს, რომელსაც საავტორო სტილს ვუწოდებთ.

პოეზიაში გადამწყვეტია სიტყვა და არა გრძნობა. სიტყვა პირველადია, გრძნობა – მეორადი. იქ, სადაც სიტყვა კარგავს სიზუსტეს და სცილდება თავისი პოეტური სემანტიკის ველს, უმალ წინ მოიწევს გრძნობის პრიმატი, რომელსაც სიტყვავე ქმნის, ოღონდ გახუნებული, გამოშიგნული სიტყვა. პოეტური აზრის ნაგებობა სიტყვით შენდება და სადაც ეს ვერ ხერხდება, იქ გრძნობათა ბუტაფორია წამოიმართება.

ამიტომაც ემზარ კვიტაიშვილი საგანგებოდ უფრთხილდება სიტყვას – ლექსის მოდელირების ერთადერთ სანდო მასალას და ლამის გრამატიკულ შინაარსში ატევს სიტყვის პოეტურ სემანტიკას.

როდესაც პოეტი ლექსს ტროპისაგან ათავისუფლებს, პირობითად იგულისხმება, რომ ნაწარმოებმა ფორმა უნდა დაკარგოს, ვინაიდან, ტრადიციული გაგებით, ლექსის საბოლოო სახეს, მის შინაგან და გარეგან ელემენტთა ერთიანობას ტროპული ფორმები განსაზღვრავს, მაგრამ არსებობს გამოსავალი – მეტაფორისგან განძარცვული ლექსი თვით იქცეს მეტაფორად. ემზარ კვიტაიშვილის ლექსებს ახასიათებს ასეთი გრადაციები და, უნდა ითქვას, რომ ეს იმდენად მანერად არ აღიქმება, რამდენადაც პოეტური ხედვის თავისებურებად. მის პოეტურ წარმოსახვაში საგნები და მოვლენები, რაოდენ რეალისტურ ანტურაჟშიც არ უნდა იყვნენ მოქცეული, მეტაფორად გარდაისახებიან, – ისე, როგორც ცხადში ნანახი და განცდილი ჩვეულებრივი ამბავი სიზმარში ამოტივტივდება ძალზე მნიშვნელოვან, ამაფორიაქებელ სიმბოლურ ნიშნად. ასე იკითხება ლექსი „ძველი ფოტო“:

ერთი სურათი მატირებს:
ასე, საათის სამზე,
დგას მამაჩემი, დავითი,
შვილის სამარეს დამზერს,
მარტია, პალტო აცვია,
ჯვარს მერამდენედ აცვეს...
გული ფსკერამდე ჩასწვია,
განწირულია აწვე...
ჰგავს შავი მიწა საფლავის
გაფხვიერებულ ნახნავს...
იმ შვილის გვერდით, გვემული,
თვითონ მარხია ახლა.

რა თქმა უნდა, პოეტური მეტაფორის არსი ლექსიკური ხატისა და ფანტაზიის ურთიერთკავშირით განისაზღვრება, მაგრამ ეს იმას არ გამორიცხავს, რომ ლექსიკურ ხატს ჩაენაცვლოს მენტალური ხატი. „ძველი ფოტო“ ის მენტალური ხატია, რომელიც მეტაფორად, გნებავთ, სიმბოლოდ წარმოგვიდგება, ვინაიდან მასში, როგორც კერძო მომენტში, ავტორის პოეტური მსოფლაღქმის ნიუანსებია კოდირებული.

მართალია, მეტაფორას მომჭირნედ იყენებს, რაც პოეტის მხატვრული აზროვნების წესითაა გაპირობებული, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მან კარგად იცის მეტაფორის ანატომია. როგორც ლიტერატურის მკვლევარი, ემზარ კვიტაიშვილი კარგა ხანს სწავლობდა აკაკი წერეთლის მეტაფორის ბუნებას. ამიტომ აქ მნიშვნელოვან როლს ცნობიერი მომენტიც ასრულებს. ვინც იცის ტროპის მთავარი სახეობის ბუნება, მისთვის ცხადია, რომ ამ ერთი შეხედვით ელემენტარული, მაგრამ სინამდვილეში რთული პოეტური ფიგურის ხშირი ექსპლუატაცია სალექსო ფასეულობათა დევალვაციის მიზეზი ხდება ხოლმე.

მაგრამ ძალზე გადაჭარბებული იქნებოდა თქმა იმისა, რომ ემზარ კვიტაიშვილი უგულებელყოფს სიტყვიერ მეტაფორას. ცხადია, არა. ტროპულ ფორმათა ეკონომიკური გამოყენების ფონზე ეფექტურად ამოიმართება ეს პოეტური ფიგურა, როგორც არტისტიზმის გამოვლინება, როგორც შემოქმედებითი ძალისხმევის ნაყოფი, ან, დონალდ დევიდსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, – როგორც ზმანება, ენის სიზმარი.

და მაინც, ემზარ კვიტაიშვილი პოეტურ აზრს გარეგნულად მბრწყინავ, ეფექტურ სამოსელში არ ახვევს. ეფექტი მისი სტილი არ არის. სათქმელის გამოხატვას იგი სხვა საშუალებებითაც ახერხებს, კერძოდ, ინტონაციის, რიტმისა და პოეტური სინტაქსის მეშვეობით. მისი სტილიც აქაა საგულვებელი – ლექსის „ფლექსიური“ ელემენტების მიმოხვრათა ზომიერებაში.

ზომიერების გრძნობა ემზარ კვიტაიშვილის ბუნებითი, თანდაყოლილი თვისებაა. ზომიერი დამოკიდებულება სიტყვასთან, ფიქრთან, ემოციასთან: ზომიერება ადამიანის, წუთისოფლის, დროის, სიკვდილ-სიცოცხლის, სამყაროს, გედისწერის, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავის მიმართ... ყოველივე ეს მთლიანობაში ურყევ-ეთიკური პოზიციაა.

განგებამ ემზარ კვიტაიშვილს მრავალი სიმწარე არგუნა, მრავალჯერ შეურყია ამსოფლიური რწმენის ციტადელი. ბედის უსამართლობამ შეიძლება ბევრი რამ შეცვალა მის ცხოვრებაში, მის შინაგან ადამიანში, მაგრამ ვერ გაუყალბა ბუნებითი ტალანტი – ეთიკური პოზიცია.

წუთისოფელი მარადის გამოსცდის პოეტს – თავის ტყვეს, და ამიტომ „გამოცდილის“ ხასიათი ყველაზე კარგად სწორედ ამ დაუმარცხებელ მპყრობელთან, წუთისოფელთან მიმართებაში იცნობა.

ამას წინათ ემზარ კვიტაიშვილმა საკმაოდ სოლიდური და „მოულოდნელი“ კრებული გამოსცა სათაურით **„წელიწადის დროთა ტყვეობაში“, რომელსაც** ავტორმა „ჩემი ოთხთავი“ უწოდა. **„დაბადებისთანვე, რაჟამს თვალი აეხილება, ადამიანი ზრდასა და უკიდეგანო სამყაროს შეცნობას იწყებს, წელიწადის დროთა თავდაუღწეველ ტყვეობაში ექცევა, გაფაცებული აკვირდება მათ განუწყვეტელ მონაცვლეობას და ეს ერთადერთი, სიამოვნების მომგვრელი ტყვეობაა, საიდანაც გაქცევასაც ჭკუაზე მყოფი, სილამაზის დამნახავი არსება, არ უნდა ესწრაფვოდეს“,** – წერს პოეტი წინასიტყვაობაში და ამით მიგვანიშნებს წიგნის კონცეფციას, საერთოდ, თავის ცხოვრებისეულ ფილოსოფიას. სათაურზე, რა თქმა უნდა, გვახსენდება თემატური პარალელები, ჩვენთვის ცნობილი მუსიკალური და პოეტური ნაწარმოებები, იოზეფ ჰაიდნის, ანტონიო ვივალდისა და პეტრე ჩაიკოვსკის „წელიწადის დრონი“, გალაკტიონის „ოთხი აფთარი“, თამაზ ბიბილურის ასევე „წელიწადის დრონი“, ბუნების მოვლენათა და დრო-ჟამის საიდუმლო ინიციაციის საუკეთესო ცდები, მაგრამ ემზარ კვიტაიშვილს თავისი გზა, თავისი არჩევანი, თავისი მოტივი აქვს. ამ წიგნშიც კარგად ჩანს, რომ იგი ტრაგიკული განწყობის პოეტია. ტრაგიკული მსოფლხედვა მისი პოეტური ცნობიერების წარმმართველი ძალაა. შესაძლოა, ეს აზრი ნაკლებმნიშვნელოვან განსაზღვრებად მოგვეჩვენოს ზოგად კონტექსტში – პოეტური ნატურა ხომ საფუძველშივე გულისხმობს ტრაგიზმს, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტრაგიზმის ეგზისტენციურ არსში ორი საწყისი დევს: ერთი, რომელსაც სასოწარკვეთილების გზით სიცოცხლის უაზრობამდე მივყავართ, მეორე, რომელიც სიცოცხლის აზრის მიგნებასა და შეძენაში გვეხმარება.

ემზარ კვიტაიშვილი არც ერთი საწყისისკენ არ ავლენს აშკარა მიდრეკილებას, იმდენად, რამდენადაც ტრაგიზმის ეგზისტენციური ხასიათის ეს ორივე გამოვლინება მისი სულიერი წყობის საყრდენია. ეს მისი ხასიათია. მაგრამ ისიც ჩანს, რომ იგი ხშირად პესიმიზმის მხარეს იკავებს და უპირისპირდება ოპტიმიზმს – „უსინდისო თვალსაზრისს“.

ოპტიმიზმს „უსინდისო თვალსაზრისი“ არტურ შოპენჰაუერმა უწოდა და სავსებით მართალი იყო თუნდაც იმ გაგებით, რომ ოპტიმიზმი აბრკოლებს ადამიანის სულის სრულყოფას, რომელიც მარადისი დაეჭვების, შინაგანი ტანჯვის გზით მიიღწევა.

სიცოცხლის წარმავლობის მოტივებს ინტონაციური ხიბლი და ესთეტიზმის პრიმატი შემოაქვს ემზარ კვიტაიშვილის ლექსებში. ტრაგიზმის განცდა აიძულებს პოეტს, იყოს ბუნებრივი და თავისუფალი ჭარბი პათეტიკისგან, როგორც ამ ლექსში:

მცირე ხნით მაინც ნუღარ ინაღვლებ,
ნურც ნურაფერზე წყრები;
ცა და მინდორი მიაქვს გალობას –
მოლაღურების, მწყრების.

გორაკებიდან მიცოცავს ნისლი,
ყვავილ-ბალახებს ნამავს...
შლეგს, თავაღერილს, ის დაგენანოს,
ვინც აღარ ისმენს ამას.

ემზარ კვიტაიშვილი მედიტაციური განწყობის ლირიკოსია, მაგრამ იგი არასოდეს ჩაკეტილა სპილოს ძვლის კოშკში, არასოდეს ყოფილა ცხოვრებისგან „განყენებული“, მუდამ საზოგადოებრივ მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებს ფიქრით, სიტყვით და საქმით. სამოქალაქო ლირიკა მისთვის უცხო არ არის. გამოვარჩევდი მის მიერ ბოლო დროს დაწერილ ეპიგრამას **„გამოცდილი პენსიონერის დარიგება ახალგაზრდა ნათესავს (უძრაობის ხანიდან დღემდე)“.** ეს გახლავთ ქრესტომათიური ეპიგრამა ჟანრული კანონების სრული დაცვით: ლაკონიური, სხარტი, სახალისო, ჭკუისმარგებელი. გათვალისწინებულია ტრადიციული ფორმა, შინაარსი, კომპოზიცია. არ აკლია დინამიზმი, სიმკვეთრე, ირონიის საკმაზი. გამოირჩევა კონტრასტულობით. სატირული მახვილი სათაურშივე დევს. თემა ყოფითია, თანამედროვე, ქართული, მოტივი – მორალისტური. ავტორის ეთიკური მრწამსი გამომდინარეობს იმ რეალობიდან, რომ თანამედროვე ქართულ ყოფიერებას არ გააჩნია მდგრადი ფორმა, არსებობის წესი, თავისი სინამდვილე. დანაწევრებულია წვრილმან ვნებებად და მისწრაფებებად, ეგოისტურ ინსტინქტებად და პროვინციულ, შლეგურ, უკულტურო აქტივობებად, რომლებსაც არანაირი კავშირი არა აქვს ნორმალურ საზოგადოებრივ პრინციპებთან.

პოეტის აზრით, ინდივიდუალიზმის ზეობის ხანაში ვიმყოფებით და ეს კერძოობითი საწყისი უარყოფითი ნიშნით, პარაზიტიზმის მიმართულებით ვითარდება:

ვიღა დაეძებს ერის დაცემას,
გამობრძმედილი პარაზიტები –
პარვას, წაგლეჯას და დატაცებას
არ დაიშლიან არასდიდებით.

ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერის“ შემდეგ რაღა უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ სწორედ გაკვირვებაზე მეტია იმის წარმოდგენა, რომ ყველა უკეთურება, რაც ჩვენი ისტორიის თანამდევი იყო საუკუნეების განმავლობაში, დღესაც ჩვენშია, ჩვენს ხასიათში დევს და უკან-უკან მიათრევს ჩვენი დაგლახავებული ცხოვრების ურემს. მართალია, ემზარ კვიტაიშვილი, უკუღმა აწყობილ ცხოვრებას წაღმა ვერ მიუდგება, სიმართლის დამცველი მოტყუებული დარჩები. სხვა გზა არ არის, შენც უნდა ჩაება სიყალბის ფერხულში, შენც უნდა უკმიო გუნდრუკი ფარისევლობის კერპს. მაგრამ ეს ხომ „ობივატელის“ იდეოლოგიაა. რასაკვირველია, წყალი არ გაუვა. „ობივატელმა“ იცის, რომ უკადრებელი უნდა იკადროს, ვიწრო შუბლით უნდა გაანგრიოს ყველა კედელი და დაბრკოლება, უნდა შეუერთდეს თახსირთა არმიას...

თუმცა ეს ეპიგრამაა, მინუს-ხერხი ეფექტური შესრულებით. მით უმეტეს, აქვეა პოსტსკრიპტუმიც, მორალისტური „ჰეფი ენდი“ როგორც გამოსვლა კოშმარული სიზმრიდან.

ამას წინათ გურამ ბათიაშვილი „ლიტერატურულ გაზეთში“ (23.III.2018) წერდა, ემზარ კვიტაიშვილმა ბევრი რამ იცის, ბევრ რამეს ჩასწვდა და ამიტომ მის პუბლიკაციებს ყოველთვის ინტერესით ველოდებით. მართლაც, ბევრის მგრძნობელი კაცის გული ფეთქავს მის ლექსებში, ბევრის მცოდნე ლიტერატორის ინტელექტი ჩანს მის ესეებში, ბევრის ჩამწვდომი ანალიტიკოსის გონებას ვხედავთ მის სამეცნიერო კვლევებში. ჭეშმარიტი მწიგნობარია, როგორც პრაქტიკული, ისე ინტელექტუალური გაგებით. კლასიკური ყაიდის მწერალია, მაგრამ ეს მარტო მის სტილს არ ეხება, ეს არის ყველაფერი: მისი ცხოვრების ფორმა, არსებობის შინაარსი, პიროვნული ხასიათი, ზნეობრივი პოზიცია და ლიტერატურული ბიოგრაფია.

ემზარ კვიტაიშვილს თვითრეკლამაზე რომ ემუშავა, დღეს, ალბათ, საკულტო პოეტი იქნებოდა. თუმცა არასოდეს არ არის გვიან. **„თუ დამჭირდა, ქვასაც გავთლი, ლითონსაც არ გავურბივარ“** – ეს მისი სიტყვებია, ხელობისა და ხელოვნების ერთგული კაცის სიტყვები.

ივანე ამირხანაშვილი

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ „ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ ᲡᲘᲪᲘᲠᲣᲚᲘᲡᲐ“

ᲚᲝᲗᲘ ᲙᲝᲢᲔ



ᲒᲐᲚᲝᲗᲘᲔᲑᲣᲚ და დაბეჩავებულ კოტეს ტროტუარზე წამოწოლილს ეძინა. სიზმარი ნახა, ვითომ იმპერატორი იყო, თავს მოსამსახურეები ეხვია; ზოგი აცმევდა, ზოგი აჭმევდა, ზოგი ასმევდა, ზოგი ადიდებდა და ხოტბას ასხამდა; ხან, ტახტზე მჯდომი, ბრძანებებს იძლეოდა, ხან, ამხედრებული, ძლევამოსილ ჯარს მიუძღვოდა, ხან, ხმლით ხელში, მტრის შუაგულში იდგა და მუსრს ავლებდა.

კოტე გამარჯვებული დაბრუნდა. თავზე გვირგვინი ედგა და ხალხს ნადავლს ურიგებდა. მთელი ქალაქი ყვიროდა: დიდება იმპერატორ კოტეს! დიდება იმპერატორ კოტეს!

კოტეს ბედნიერს გამოეღვიძა. ჯერ თავის თავს დახედა, შემდეგ ხალხს გახედა და სინანულით ჩაილაპარაკა: მე რა ცხოვრება დავკარგე და ამ ხალხმა – რა იმპერატორი!....

ᲨᲐᲕᲘ ᲒᲣᲚᲘ

ᲕᲐᲚᲐᲡ ხალხში სიბნელე შეჰქონდა. აღარც ლხინში ეძახდნენ და აღარც ჭირში. მზის ქვეშ სიბნელეს დაინახავდნენ თუ არა, ვალა მოდისო, დაიძახებდნენ და გარბოდნენ.

ადამიანებს ჩემი ეშინიათ, მაგრამ სიბნელეში იმათ შეშინებულ სახეებს ვერ ვხედავ, შეწუხდა ვალა. ექიმთან მივიდა და სთხოვა, ქვეყანას ისე ვაბნელებ, მეც ვერაფერს ვხედავ და მიშველეო. ექიმმა გასინჯა, შავი გულის განკურნვა შეუძლებელიაო, უთხრა და გამოისტუმრა.

ვალამ გული ამოიგლიჯა, მკერდში ქვა ჩაიდო, ასე ხალხს უფრო შევაშინებ და მათ შეშინებულ სახეებსაც დავინახავო.

როცა ხალხი აღარ გაურბოდა, ჭირშიც მიიპატიჟეს და ლხინშიც, გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა, ქვის გულზე საშიში შავი გული ყოფილაო.

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲝᲑᲐ იყო და ოჯახში საჭმელი თანაბრად ნაწილდებოდა. უმცროსი შვილი, ჭამის დროს, ოჯახის წევრებს გაერიდებოდა და საჭმელი თავის ოთახში გაჰქონდა.

ბავშვი თანდათან გახდა. მშობლებმა ექიმთან წაიყვანეს, დაავადება რომ ვერ აღმოუჩინეს, ულუფა მოუმატეს.

დრო გადიოდა, ბავშვი წონაში მაინც იკლებდა. ერთ დღეს, დაეჭვებული დედა, სამზარეულოდან გასულ უმცროს შვილს მალვით აედევნა. ბავშვი თავის ოთახში შევიდა, ცოტა შეჭამა და დანარჩენი ავადმყოფ მეზობელს შეუტანა.

როდესაც მამამ, მეუღლესთან ერთად, ლოგინად ჩავარდნილი მეზობელი მოინახულა და უმცროსი შვილის საქციელით გახარებული ბინაში ბრუნდებოდა, მეუღლეს ხელი გადაჰხვია და ამაყად უთხრა: – მართალია, ჩვენი შვილი პატარაა, მაგრამ მივხვდი, რომ დიდ ადამიანს ასაკი არა აქვს...

ᲛᲬᲧᲔᲠᲘ

ᲛᲬᲧᲔᲠᲘ სადაც დაჯდა, თოფი ესროლეს. დაღონდა, რა წონა მაქვს, რომ ჩემი გულისთვის ამდენ ტყვია-წამალს აფუჭებენო. ქორმა მოუსმინა, ჩაიცინა და უთხრა, შენი წონა გემოთი იზომებაო.

ᲨᲔᲦᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲠᲘ

ᲕᲘᲠᲔᲑᲡ ამუშავებდნენ, საღამოს აჭმევდნენ და უშვებდნენ. ერთმა ვირმა იფიქრა, ორი ვირის საპალნეს წავიღებ და ორჯერ მეტს მაჭმევენო. ასეც მოიქცა, სხვები ერთი ვირის საპალნეს ეზიდებოდნენ, ის – ორი ვირის საპალნეს.

მოსაღამოვდა. ვირმა საჭმელიც ორი ნორმა მოითხოვა.

ერთი ვირი – ერთი ულუფა... კანონი ასეთიაო, გააჩუმეს ვირი.

მეორე დღეს, ვირმა ერთი საპალნე აიკიდა. წასვლა რომ დააპირა, მეორე საპალნეც აჰკიდეს. რას შვრებითო, იყვირა, მაგრამ... საპალნე შესაძლებლობის მიხედვით... კანონი ასეთიაო, ისევ გააჩუმეს ვირი.



კანონი ვინ არისო, იკითხა დაღონებულმა.

ის, ვისაც საპალნე არ ჰკიდია, მაგრამ ყველაზე მეტს სჭამსო, მიუგეს ვირს.

ᲚᲝᲓᲘ

ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ პირას ლოდს სხეული მიწაში ჩაეყო და ზემოდან ხავსის საბანი დაეფარებინა. მოტიტვლებული შუბლი უჩანდა. ნაოჭებში ჩამკვდარი ჭუჭყი რუხ ზოლებად ჩასდევდა, რაც ხაზს უსვამდა იმის ასაკს. უქმად გდებას მიჩვეული იყო და შემობრუნება ეზარებოდა; ნაკადულის წკრიალა ხმის მოსმენაც კი არ უნდოდა; ფოთლის შრიალი და შაშვის გალობა, ჩხიკვის ჩხავილი და მგლის ყმუილი, გაელვება და მეხის გრგვინვა, წვიმის წვეთები და ნიაღვრის ღრიალი, მზის სითბო და ზამთრის სუსხი ის მოვლენები იყო, რომლებიც საუკუნოვან ერთფეროვნებად, უინტერესო მარადიულობად ქცეულები, მის მდუმარებას არღვევდნენ.

განძრევა ეზარებოდა და ერთადერთი სურვილი ჰქონდა, მისი აქავებული შუბლი ვინმეს მოეფხანა.

ᲣᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝ ᲘᲚᲝ

ᲘᲚᲝᲛ იფიქრა, წავალ, ქვეყანას შემოვივლი, უსახლკარო ვარ, იქნებ ვინმემ სახლი ამიშენოსო. იარა, იარა და მწყემსი შემოხვდა. ქუდი მოიხადა, თავაზიანად მიესალმა და სთხოვა:

– კეთილო ადამიანო, უსახლკარო ვარ, სახლი ამიშენე!...

ხელი გაანძრიე და აშენდებაო, მიუგო მწყემსმა.

ილომ გზა განაგრძო და დაინახა, გუთნისდედა მინდორს ხნავდა.

– კეთილო ადამიანო, უსახლკარო ვარ, გთხოვ, სახლი ამიშენე!... – სთხოვა ილომ.

ხელი გაანძრიე და აშენდებაო, მიუგო გუთნისდედამ.

ილომ გზა ისევ განაგრძო. დაინახა, ვიღაც სახლს იშენებდა.

– კეთილო ადამიანო, უსახლკარო ვარ, გთხოვ სახლი ამიშენე! – სთხოვა ილომ.

ხელი გაანძრიე და აშენდებაო, მიუგო მშენებელმა.

– ხალხი როგორ გაზარმაცებულა!... – ჩაილაპარაკა ილომ და ღამის გასათევად ხეზე აცოცდა.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲔᲠᲗᲘ კაცი ფუფუნებაში იყო, მეორე კაცი – სიღატაკეში, გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ და სხვადასხვა სამყაროს ხედავნენ.

ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲔᲡ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲘ

ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲔᲡ თავის უკვდავსაყოფად არაფერი გაუკეთებია. მთელი ცხოვრება უსაქმურობაში გაატარა; არც თავს არგო რამე, არც – ოჯახს და არც – ქვეყანას.

ერთ დღეს, ისიდორემ მეზობლისგან ნიჩაბი ითხოვა და სოფლის მახლობლად, აღმართზე ავიდა.

ჩამოიარა მეზობელმა.

– რას თხრი ისიდორე? – ჰკითხა მეზობელმა.

– სადაც არის, მოვკვდები, თავი ვერაფრით გამოვიჩინე, მიწას მაინც მოვჩიჩქნიო, – უთხრა ისიდორემ და ნიჩაბი მიწაში ჩაარჭო. უცებ, გულთან ჩხვლეტა იგრძნო, ნელ-ნელა ჩაიმუხლა, პირქვე დაეცა და სული განუტევა.

სოფელი იმ აღმართს დღესაც ისიდორეს აღმართს ეძახის.

ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲝᲛᲘ

ᲚᲝᲛᲘᲡ მოახსენეს, წრუწუნა დღედაღამ შენს ლანძღვაშიაო. მეფე გაბრაზდა, ნაზირ-ვეზირები იხმო და დატუქსა; ამ ბოლო დროს ბევრი მლანძღავს, თუ ჩემს ლანძღვას არ მოაშლევინებთ, თქვენ დაგსჯითო.



წრუწუნა აწამეს, მაგრამ მეფის ლანძღვა ვერ მოაშლევინეს. ბოლოს კატის ოთახში შეაგდეს, კატა შეჭამს და დასჯას გადავურჩებითო.

მეორე დღეს, კატის ოთახის კარი გაღეს, წრუწუნა გამოვარდა და კატის ლანძღვა დაიწყო. გახარებულმა ლომმა შესძახა: რა იოლი ყოფილა ლანძღვის აცილება!...

ᲚᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲦᲣᲠᲐ

ᲚᲝᲛᲘ ამაყად მიაბიჯებდა და სამყაროს მედიდურად გასცქეროდა. ჭიკჭიკმა მიიპყრო მისი ყურადღება. ცას ახედა და, სწორედ ამ დროს, ბეღურამ თავზე დაასკინტლა. ლომი გადაირია, ბეღურამ ეს როგორ გამიბედაო და დასაჭერად ჰაერში რამოდენიმეჯერ ისკუპა. ბეღურა თავისთვის დაფრინავდა და ჭიკჭიკებდა.

ლომი კლდის ქიმზე აცოცდა, გადახტა, დაჭერას შეეცადა, მაგრამ ბეღურა ჰაერში ამოტრიალდა, ლომს ზემოდან მოექცა და კიდევ ერთხელ დაასკინტლა.

ლომი მიწაზე დაეცა, მომაკვდავმა თავი წამოსწია და ღმერთს შესძახა: მე ლომი ვარ და ის ბეღურა?!..

ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲓᲐᲭᲧᲔᲢᲘᲚᲘ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ

ᲔᲠᲗᲘ იურისტს თავი კანონებით ჰქონდა გამოტენილი, სხვას ვერაფერს ხედავდა; არც იცინოდა, არც ტიროდა, არც უხაროდა და არც სწყინდა.

გზად მიმავალმა ქალს ფეხი დააბიჯა. გამწარებული ქალი მოუბრუნდა და ისეთი სილა გააწნა, იურისტმა თვალები დააჭყიტა.

შუადღის მზე კაშკაშებდა, ამწვანებული ფოთლები ნიავს ეთამაშებოდნენ, ყვავილები ირწეოდნენ და საოცარ ფერებს დროშებივით აფრიალებდნენ. მინდორი ზღვასავით ღელავდა. გალობასა და ჭიკჭიკზე მოცეკვავე ბალახები მიწიდან ამოხტომას ლამობდნენ.

თვალებდაჭყეტილ იურისტს გაეღიმა და წამოიძახა: რა მშვენიერი ყოფილა სამყარო!...

ᲒᲐᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲔᲠᲗᲘ კაცს გატანჯული ცხოვრება მობეზრდა, თავის მოკვლა გადაწყვიტა, მდინარესთან მივიდა და წყალში გადახტა. მოქეიფე ახალგაზრდებმა კაცი შენიშნეს, წყლიდან ამოიყვანეს, მოასულიერეს, ეფერეს, დააწყნარეს, ასვეს, აჭამეს, სახლში წაიყვანეს და თბილ ლოგინში დააძინეს.

მეორე დღეს კაცს ისევ თავისი გატანჯული ცხოვრება დაუდგა თვალწინ. მდინარესთან მივიდა და ისევ წყალში გადახტა. მდინარის პირას მოვარჯიშე ახალგაზრდებმა წყლიდან ამოიყვანეს, მოასულიერეს, ეფერეს, დააწყნარეს, ასვეს, აჭამეს, სახლში წაიყვანეს და თბილ ლოგინში დააძინეს.

როცა მესამედ გადახტა წყალში, მესამედ ამოიყვანეს, მოასულიერეს, ეფერეს, დააწყნარეს, ასვეს და აჭამეს, კაცმა უთხრა: ასეთი კარგები ნეტა მაშინაც იყოთ, როცა კაცს სიცოცხლე უხარიაო!...

ᲕᲘᲠᲘ

ᲕᲘᲠᲘ დაღონებული დადიოდა. ახლობელმა დაღონების მიზეზი ჰკითხა და იმანაც გული გადაუშალა: დავიღალე, ძმაო, ვისაც არ ეზარება, ყველა ზურგზე მაზის, იმათი ტარებით წელი ჩამწყდაო.

ახლობელი რისი ახლობელი იყო, იმისი გასაჭირი გულთან არ მიეტანა... ლომთან მეგობრობით ისარგებლა და ვირი საპარლამენტო სიაში შეაყვანინა.

არჩევნების მეორე დღეს ლომი ნადირთა წინაშე წარდგა და ნდობისთვის ყველას მადლობა გადაუხადა. გაგება სურდა, გამარჯვებაში ვინ უფრო დიდი წვლილი შეიტანა და ამომრჩევლებს მიმართა: ყველაზე ხშირად ვისი ხმა გესმოდათო.

– ვირის ყროყინმა ყველას ხმა გადაფარა!... – გაისმა აქეთ–იქიდან.

ლომმა მეგობარს თვალი ჩაუკრა და ვირი პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

წესისამებრ, პარლამენტის თავმჯდომარე სხდომათა დარბაზში ხელში აყვანილი შეიყვანეს. ამის შემხედვარე ახლობელმა ვირს წასჩურჩულა: – აბა, როგორია?....

პარლამენტი ერთადერთი ადგილია, სადაც ვირი ლომიაო, ჩაიცინა ვირმა.

ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠᲘ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ კაცი გარბოდა. მანუჩარმა იფიქრა, ესენი ისე გარბიან, ნამდვილად ქვეყანა იქცევაო და გაქცეულებს გამოუდგა. გაქცეულებმა იფიქრეს, მდევარი მოგვდევს, ცეცხლში დაწვას წყალში დახრჩობა გვირჩევნიაო და წყალში გადაცვივდნენ. მანუჩარი შიშმა აიტანა, ესენი რადგან თავს იხრჩობენ,

ნამდვილად უარესი გველოდებაო, და თავადაც წყალში გადახტა.

იხრჩობოდა მანუჩარი და გაქცეულს გასძახა, ძმაო, სიკვდილის წინ ის მაინც მითხარი, თავს რატომ იხრჩობთო.

— ყაჩაღობისთვის შეგვიპყრეს, ცეცხლზე დაწვა დაგვიპირეს, გამოვიქეცით და წყალში დახრჩობა ვამჯობინეთ. — გამოსძახა წყალწაღებულმა და დაიხრჩო.

— რა ბედნიერი ხარ, როცა იცი რისთვის კვდები.... — მიაძახა მანუჩარმა და ისიც ჩაიძირა.

სულის ლამპარი

მეფეს მოახსენეს, სიბნელეში ყველა ლამპარს მიიმძღვარებს, უფლისწული კი ვიღაც კაცს უკან დაჰყვებაო.

მეფის ბრძანებით კაცი ციხეში გამოამწყვდიეს, უფლისწულს ხელში ლამპარი მიაჩეჩეს და ურჩიეს, გზა ლამპრით გაეკვლია.

დრო გავიდა. მეფეს მოახსენეს, მართალია, უფლისწული სიბნელეში ლამპარს მიიმძღვარებს, მაგრამ ჯერ ბანქოს მოთამაშეებს აჰყვა, შემდეგ — ქურდებსა და ყაჩაღებს, შემდეგ — მეძავებს, ახლა კი ლოთობსო.

განრისხებულმა მეფემ შვილი იხმო და უბრძანა, თავისი საქციელი აეხსნა?

— მბრძანებელო, როგორც მიბრძანე, სიბნელეში გზას ლამპრით ვიკვლევ. — უთხრა უფლისწულმა.

— ზნედაცემულ საქციელებს რა ვუყოთ?! — უყვირა მეფემ.

— შენი სურვილი იყო, სიბნელეში წინ ლამპარი წამემძღვარებინა, რათა ცხვირი არ წამემტვრია. ნახე, ცხვირი მთელი მაქვს.

— ზნედაცემულობას რა ვუყოთ?! — გაუმეორა მეფემ.

— მბრძანებელო, ლამპარი სხეულს უნათებს გზას, ის კაცი კი, რომელიც ციხეში გამოამწყვდიე, ჩემი სულის ლამპარია...

მუხის ხე

ერთი მუხის ხე ფერდობზე იდგა და თავის უღიმღამო ცხოვრებას დასტიროდა. ისეთი მოწყენილი იყო, ფრინველებიც ერიდებოდნენ. ადრე, ძირს გაფენილ რკოზე შემოსეული გოჭების ჩხუბითა და კინკლაობით ერთობოდა. ახლა ისინიც მოსაბეზრებელ არსებებად ეჩვენებოდა და იმათი დანახვაც არ უნდოდა.

ერთკვირიანი წვიმების შემდეგ, ბუნება სიცოცხლით სავსე გამოიყურებოდა. დარბილებულ მიწაში ნაჩლიქარები წყლით იყო სავსე. მცხუნვარე მზეზე ხეობებს ორთქლი ასდიოდა. მოალერსე არავი ფოთლებს ისე საამოდ აშრიალებდა, მუხას გულმა ვეღარ გაუძლო და თვალი გაახილა. ის იყო, ტოტები შეარხია, ნამძინარევმა გაზმორვა სცადა, რომ მეწყერი დაიძრა და მომზღვლეული მიწა თავქვე დაეშვა. მუხა ჯერ შეკრთა, სუნთქვა შეეკრა. მოძრაობა ისე ესიამოვნა, უნებურად ახარხარდა, ტოტების ქნევა დაიწყო, ეგონა, ჰაერში ჩიტივით დანავარდობდა. უზომოდ ბედნიერ თვალებს სიხარულის ნაპერწკლები სცვიოდა და შეძახილებით აყრუებდა იქაურობას.

მიწა ბორბალივით დატრიალდა, ტოტებშემოლეწილი მუხა მაღლა შეაგდო, შემდეგ სიღრმეში ჩაითრია და საშინელი ხმაურით კლდეს შეასკდა.

მომაკვდავმა მუხამ წამოიძახა, ეს ერთი წამი სიცოცხლედ ღირდაო, და სული განუტევა.

ზორბა

მგელი ნადირობიდან ხელცარიელი დაბრუნდა, ზორბასთან მივიდა და უთხრა, ტერიტორიაზე საკვები აღარ მოიძებნება, რამე უნდა ვიღონოთო. მამამისი — ზორბა სახელგანთქმული მონადირე და ბრძენი მგელი იყო, შვილს ბუნაგიდან გაუძღვა, დიდგორის მთებს გადახედა და შვილს უთხრა:

— როდესაც ამ ხეობებში საკვები შემოილევა, ჩვენ, მგლები, ამ პრობლემას ბუნებრივად ვაგვარებთ; იმ წელს გამრავლებაზე უარს ვამბობთ და მხოლოდ

თავის გადარჩენაზე ვზრუნავთ. ჩვენი წინაპრებიც ასე იქცეოდნენ. შენ კი, ყოველი წარუმატებელი ნადირობის შემდეგ, გვთავაზობ ხროვა შევყარო, მგლების ამოხოცვის გეგმა შევადგინო და მათი ტერიტორიები მივითვისოთ. ასეთი საქციელი გადაჯიშებული ცხოველების — ადამიანების ბუნებაშია და რა სირცხვილია, როცა ჩემი შვილი ადამიანივით მოქცევას მაიძულებს...

ჩემთან ამ თემაზე საუბარი აღარ გაბედო!

— მეგონა, დიდი ზორბას შვილი ვიყავი... შენ ტრადიციებს აყოლილი, ბუზღუნა მოხუცი ხარ. გეგმასაც მე შევიმუშავებ, ხროვასაც შევკრებ და ყველა იმ მგლის ოჯახს ამოვხოცავთ, ვინც დიდგორის მთებიდან არ გადაიხვეწება.

— არ გაბედო!... — იყვირა ზორბამ, მუხლი მოეკვეთა და ყვირილზე მისულ მეზობლებს სთხოვა, სახლში შემიყვანეთო.

ზორბა სალოცავთან მივიდა, დაიჩოქა და შეევედრა: — უფალო, არ დაუშვა, რომ მგლებმაც ადამიანებივით ერთმანეთის ამოხოცვის გეგმები შეადგინონ, თორემ ეს მთელი მოდგმის დასასრული იქნება! ჩვენ ჩვენი ტერიტორიები შარდით გვაქვს შემოსაზღვრული და როცა ამ საზღვრებში თავის რჩენა ძნელდება, პრობლემას ბუნებრივად ვაგვარებთ და ადამიანებივით ერთმანეთს არ ვანადგურებთ.

ჩემი შვილი ეშმაკმა აცდუნა. მიუხედავად იმისა, რომ მგლის სხეულშია, ბუნებით ადამიანია. გთხოვ, უფალო, მიეცი მას ადამიანის სხეული!

— რას ამბობ, ზორბა?!. — იყვირა ზორბას მეუღლემ.

— ზორბა, დაველაპარაკოთ, იქნებ გონს მოეგოს. — უთხრეს მეზობლებმა.

— დიდი ხანია, ჩემს შვილს სატანური აზრები მორევია და გონებას უბინდავს, — ხმის კანკალით წარმოთქვა ზორბამ და სალოცავის წინ ვედრება განაგრძო, — უფალო, ჩემს უგუნურ შვილს მიეცი ადამიანის სხეული, მიეცი ადამიანის სხეული!

ზორბას შვილი თანდათან ორ ფეხზე წამოიმართა, ადამიანად ქცეულმა თვალები დააბრიალა, მგლებს დამცინავად გადახედა და ბუნაგიდან გავარდა.

დედა აქვითინდა. მგლები საგონებელს მიეცნენ... გაბედეს და ზორბას უთხრეს, შენი შვილი ადამიანებს მოგვისევს და ამოგვხოცავენო.

— ნუ გეშინიათ!.. ჩემი შვილი ადამიანია. დღეს ის ადამიანებისთვის უფრო საშიშია, ვიდრე მგლებისთვის, — დაამშვიდა ზორბამ.



ჯუმბერ სარდლიშვილი,
ტელ: 599244024

სესხის გაცემა იზღუდება

ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს ახალ რეგულაციებს უწესებს. იზღუდება სესხის გაცემა და დგინდება ახალი მოთხოვნები. ფინანსისტები ამბობენ, რომ ეს გაართულებს თვითდასაქმებული ადამიანებისთვის კრედიტის მიცემას. ზოგიერთი მათგანი კი ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ჭარბვალიანობის პრობლემა საერთოდაც არ დგას.

მაგალითად, თუ მოქალაქეს ბინის შეძენა სურს, ბანკი მას თანხის 50%-ზე მეტს ვეღარ მისცემს, ვიდრე არ დაადგენს, რამდენად აქვს შესაძლებლობა დაინტერესებულ პირს ყოველთვიური თანხის გადახდისა.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ რეგულაციები პრობლემებს იმ მოქალაქეებს შეუქმნის, რომლებსაც შემოსავალი აქვთ, თუმცა მის ოფიციალურ დადასტურებას ვერ ახერხებენ.

„ამ ცვლილებებით უფრო გართულდება თვითდასაქმებული ადამიანებისთვის სესხის მიცემა, როგორებიც არიან ძიძები, ტაქსის მძღოლები, რეპეტიტორები ან პროფილაქტიკის ხელოსნები, რომლებსაც აქვთ რეალური შემოსავალი, თუმცა ამის დადასტურება ხშირად უჭირთ. აქამდე ბანკი, რა თქმა უნდა, სწავლობდა ამ ადამიანების ფინანსურ შემოსავლებს და საკრედიტო ისტორიებს, მაგრამ, როგორც წესი, უფრო მარტივად უმტკიცებდა განვადების ტიპის სესხებს“, — განაცხადა „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარემ გიორგი კეპულაძემ.

სებ-ის დამოკიდებულებას არ იზიარებენ არც სხვები. Okay-ის მმართველი პარტნიორი ნიკოლოზ ფერიაშვილი ამბობს, რომ კრედიტების გაცემაზე შეზღუდვების დაწესების მთავარი არგუმენტი არის ჭარბვალიანობა. ის ითვლება ასე — როგორია სამომხმარებლო სესხების საერთო მოცულობა ქვეყნის შიდა მზარდ პროდუქტთან მიმართებაში. საქართველოში კი ეს ციფრი არის დაახლოებით 30% მაშინ, როცა ევროპაში არის 60%, აშშ-ში — 85%.

„2014 წელს კურსი რომ შეიცვალა, იქიდან გამომდინარე გაიზარდა პროცენტიც, თორემ 2013 წლისთვის 15% იყო. ასე რომ, რეალურ ჭარბვალიანობასთან საქმე არ გვაქვს.

შეზღუდვების დაწესებისას, ბანკების შემთხვევაში შეიძლება ვიღაცამ არგუმენტი მოიტანოს, რომ იქ დეპოზიტარების ფულია და თუ მომხმარებელი დაკარგავს გადახდისუნარიანობას, ბანკს კრედიტს უკან ვეღარ დაუბრუნებს. შესაბამისად, ქვეყნის სიმდიდრე, ამ დეპოზიტების სახით დადგება საფრთხის ქვეშ. სხვა ალტერნატიული ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რომელთაც დეპოზიტების მიღება ეკრძალებათ და საკუთარი კაპიტალით მუშაობენ, საერთოდ ნონსენსია, რომ რაიმე შეზღუდვა გაავრცელო. ის ამ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარ ფულს დაკარგავს და ჭარბვალიანობაც რომ გამოიწვიოს, ეს მომხმარებლის და მისი ურთიერთობაა და არანაირად არ ეხება ქვეყნის ეკონომიკას“ — განუცხადა „საქმის კურსს“ ფერიაშვილმა.

ამასობაში კომერციული ბანკები მუდმივად ზრდიან სესხების ოდენობას, მათ შორის, ფიზიკურ პირებზეც. მარტში საკრედიტო პორტფელი 286.6 მილიონი ლარით გაიზარდა, რითიც საკრედიტო დაბანდების მოცულობამ 22.2 მლრდ ლარი შეადგინა.

სებ-ის სტატისტიკით, ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 247.5 მლნ ლარით (2.6 პროცენტით) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 39.1 მლნ ლარით (0.3 პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 3.0 პროცენტით გაიზარდა).

2018 წლის მარტის განმავლობაში 1.1 პროცენტით, ანუ 134.3 მლნ ლარით გაიზარდა ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის 11.8 მლრდ ლარს გადააჭარბა.

ბექა დანელია

საქართველოს საავიაციო ბაზარზე KUWAIT AIRWAYS შემოდის

საქართველოს საავიაციო ბაზარზე ოპერირებას ქუვეითის სახელმწიფოს კიდევ ერთი ავიაკომპანია „Kuwait Airways“ იწყებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში წარმოდგენილი განრიგის მიხედვით, ელ-ქუვეითი - თბილისი - ელ-ქუვეითის საჰაერო ხაზზე რეგულარული რეისებს ავიაკომპანია მიმდინარე წლის 11 ივნისიდან 10 სექტემბრამდე განახორციელებს. რეისები კვირაში 2 სიხშირით, ყოველ ორშაბათსა და პარასკევს, Airbus A320 ტიპის საჰაერო ხომალდით შესრულდება.

რეგულარული საჰაერო მიმოსვლისათვის აუცილებელი ნებართვა ავიაკომპანია „Kuwait Airways“-ს სამოქალქო ავიაციის სააგენტოს მიერ 26 აპრილს მიენიჭა.

საქართველოსა და ქუვეითის სახელმწიფოს შორის საჰაერო მიმოსვლის შეთანხმებას 2012 წელს მოეწერა ხელი. 2014-2016 წლებში ორი ქვეყნის დედაქალაქებს შორის მრავალჯერად ჩარტერულ რეისებს ქართული ავიაკომპანია „Georgian Airways“ ასრულებდა.

ყოფაქცევის წესებზე

ჩემი აზრით, ფეხის ქირის თუ სხვა წვრილმანი გასამრჯელოს შეუსაბამო ოდენობით მიცემა ხელმოცარულის უტყუარი ნიშანია.

* * *

იმისათვის, რომ სხვათა ყურადღება მიიქციოთ, თქვენ თვითონ უნდა გამოავლინოთ ყურადღებიანობა. არ იგულმავიწყოთ ეს უბრალო წესი და იოლად ააწყობთ რაგინდარა საუბარს.

* * *

ყოველთვის დაიხსომეთ ადამიანების სახელები და იმათი ცხოვრების ზოგიერთი დამახასიათებელი წვრილმანი რამ. ყოველ ადამიანს სიამოვნებს ზედმეტად ხმამაღლა წარმოთქმული თავისი სახელის გაგონება, თავისი რომელიმე სახელგანსმენილი წინაპრის ანდა თავისივე ერთ-ერთი საქვეყნოდ გასახელებული ოჯახის წევრის ხსენება.

* * *

იყავით პატიოსანი. ადამიანების უმრავლესობამ ინსტინქტურად იცის სიცრუის გამოცნობა და ამიტომ ძალიან აფასებენ პატიოსნებას, მაშინაც კი, თუ თქვენი ნათქვამი სულაც ის არ არის, რის გაგონებაც ესურვილებოდათ.

* * *

მიეცით თანამოსაუბრეს თავისი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. არ დაგავიწყდეთ, რომ ნებისმიერი საქმიანი საუბარი ორმხრივი პროცესია.

* * *

თუ სადმე წვეულებაზე ვინმესთან ლაპარაკს აპირებთ, კარგად უნდა იცოდეთ, რაზე უნდა ელაპარაკოთ. ამას წინათ ერთ-ერთ საღამოს წვეულებაზე იძულებული გავხდი, კარგა ხანს მესმინა ერთი ქალბატონისთვის, რომელიც იმის ჩვენებას ცდილობდა, თუ რა ბევრი რამ იცოდა იახტებზე. თუმცა თავისი გაბრტყელებული ლაპარაკით ნათელი გახადა, თუ რა ბევრი რამ არ იცოდა იახტების თაობაზე. იმისდა საუბედუროდ, იქ იახტების რამდენიმე მფლობელი იყო, იმათ შორის მეც. ჩვენ, რასაკვირველია, ტაქტი გამოვიჩინეთ და არ ვამხილეთ უმეცრებაში. მაგრამ ნათელი გახდა, რომ იმ ქალბატონის მიერ თავისი თავის ყოვლისმცოდნედ წარმოჩენის ცდამ ფრიად არაკეთილსასურველი შთაბეჭდილება მოახდინა იქ დამსწრე საზოგადოებაზე.

* * *

ბიზნესშიც და ცხოვრებაშიც არაერთხელ ვყოფილვარ იმის მოწმე, თუ რა სისულელეს ჩმახავენ ადამიანები და თანაც, ეჭვიც არ ეპარებათ თავიანთ სიმართლეში. ზოგჯერ ეს იმდენად აღმაშფოთებელი სისულელეა, რომ იმათ გადასარწმუნებლად ჩემი მხრიდან დროისა და ძალის დაკარგვა კიდევ უფრო დიდ სისულელედ მიმაჩნია. ასეთ ვითარებაში ბევრად ადვილია წყნარად თქმა: „დარწმუნებული ხართ, რომ მართლა ეგრეა? პირადად მე სულ სხვანაირად ვიცი“, — და მეტად აღარ მივუბრუნდეთ სადავო თემას.

* * *

უკეთუ ჩემსავით ბუნებათანაზიარი არა ხართ, ადექით და ცნობისმოყვარეობით შეიარაღდით — ასალაპარაკებლად შემაგულიანებელი შეკითხვების კორიანტელში მოაქციეთ თანამოსაუბრე. ყოველ ადამიანს ყველაზე მეტად მოსწონს თავის ლაპარაკს რომ ისმენს, თავის აზრებსა და მოსაზრებას რომ გიზიარებთ, ამიტომაც, თუ მორცხვი და მორიდებული ხართ, სხვებს მიეცით ლაპარაკის შესაძლებლობა. სწორი შეკითხვები სასაუბროდ განაწყობს ადამიანს, ამიტომ ძალდაუტანებელი მოკლე საუბრიდან ბევრი ახლისა და მნიშვნელოვანი რამის შეტყობა შეიძლება, მაგალითად, როგორც წესი, ერთ დღეს ამა თუ იმ საუბარში ხუთჯერ და ხან ათჯერაც მიხდება ჩაბმა, და ყველა ეს საუბარი გარკვეულწილად მივსებს ცხოვრებისეულ ბაგაჟს და მსოფლმხედველობას მიცვლის.

* * *

მუდამ გახსოვდეთ ერთი უბრალო

ასე ამბობდა დონალდ ტრამპი

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

წესი: ჩაცმა-დახურვა საჭიროა იმ სამუშაოსდა მიხედვით, რომელზეც თვალი გიჭირავთ და არა იმისდა მიხედვით, რომელიც უკვე გაქვთ. მართალი გითხრათ, მიჭირს იმასთან შეგუება, თუ როგორ იცვამს ამჟამად ზოგიერთი ადამიანი სამსახურში. ეს ნამდვილი დანაშაულია. უკეთუ ჩემს ოფისში ისეთი ადამიანი მოდის, ვისაც ფეხთ საკროსო სპორტული ანდა რეზინისძირიანი ფეხსაცმელი და ტანთ ღამის კლუბის შესაფერისად აცვია, ანუ, ცოტა არ იყოს, აბრანძულ-დაბრანძულია, მე სერიოზულ ადამიანად არ აღვიქვამ. ადამიანებს ბიზნესში პარტნიორად ისეთები უნდა, ვინც კარგად გამოიყურება და შესაბამისად ჩაცმულ-დახურულია. სწორედაც ტანსაცმელი ქმნის ადამიანის იერსახეს, გინდ კაცი იყოს და გინდ ქალი.

* * *

თანამედროვე ადამიანები ბევრად უარესად უვლიან თავიანთ თავს, ვიდრე აცვიათ. თავად განსაჯეთ: ჭუჭყიანი ფრჩხილები, გასიპული ტანსაცმელი, სუნამოყოლილი სუნთქვა, ულაზათო ვარცხნილობა, გაუწმენდავი ქუსლებმოღრეცილი ფეხსაცმელი, ცუდად გაპარსული სახე. არადა, იმისათვის, რომ კარგად, ადამიანურად გამოვიყურებოდეთ, სულაც არ არის დიდი დრო საჭირო.

ნაირფერსა და სხვადასხვაზე

უდავოა, დონალდ ტრამპი არამარტო ნიჭიერი ბიზნესმენია, ფხა და მარიფათიც უხვად მოსდგამს. მან ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ოლიმპზე აიაღმართა და გარშემო მყოფთ დაუმტკიცა, უკიდეგანო სურვილით თუ ხარ შეპყრობილი და გააზრებული პოლიტიკური ნებისყოფა გაქვს, სახელმწიფოს პირველკაცად გახდომა არ გაგიჭირდება. ცხადი გახდა, რომ ტრამპი მრავალმხრივ უნარიანი პიროვნებაა.

ასე, მაგალითად, ნიუ-იორკის სამხედრო აკადემიაში ტრამპი სამწყობრო მომზადებაში ერთ-ერთი საუკეთესო გახდა. ამხანაგთან ერთად მან კურსანტების საჩვენებელი ოცეული მოამზადა, რომელმა ოცეულმაც 1964 წელს ნიუიორკში მეხუთე ავენიუზე ვეტერანთა დღეს უნაკლოდ გაიარა მარშით.

* * *

როგორც წესი, ყველაზე უფრო უბრალო მიდგომა ყველაზე უფრო ეფექტური გამოდგება ხოლმე.

* * *

მუდამ ეცადეთ, რომ გაიგოთ თქვენი გულისწყრომის მიზეზი: ზოგჯერ ის, გულისწყრომაზე ვამბობ, სავსებით დასაბუთებულია და აუცილებელიც კია საქმისთვის, მაგრამ ხან თქვენ მიერ ვითარების გაუგებლობის მხოლოდ ინდიკატორის მაგივრობას ეწევა.

* * *

მაჩვენეთ ვინმე ისეთი კაცი, რომელსაც ეგო არა აქვს, ანუ ეჩო კაცი არ არის, და მე ლუზერს, ანუ უიღბლოს, ხელმოცარულს გაჩვენებთ.

* * *

სუყოველი გადაწყვეტილების მიღებას გულის ფანცქალით მოეპყარით, როგორც შეყვარებულს.

* * *

თავი მოკრძალებულად, განმაიარაღებლად დაიჭირეთ, შეიმცირეთ თქვენი ღირსებანი და მიღწევანი.

* * *

თქვენი სიხისტე და განრისხების უნარი იმ შემთხვევებისთვის შემოინახეთ, როცა ეს მართლაც აუცილებელია.

* * *

არ შეიძლება პუბლიკის მოტყუება. ყოველ შემთხვევაში ხანგრძლივად მაინც.

* * *

ყველაზე უფრო მეტად მაშინ წარემატები, როცა დინების წინააღმდეგ მიცურავ.

* * *

იმაზე მეტი ნუ გძინავთ, ვიდრე თქვენს ორგანიზმს სჭირდება.

* * *

ცუდ დროებას ხშირად დიდებული შესაძლებლობები მოაქვს.

* * *

რაც შეიძლება მალე გადააქციეთ თქვენი მასშტაბური აზრები მასშტაბურ მოქმედებებად. ათასგვარ მომიზეზებას ნუ დაამუხრუჭებინებთ თავს, მომიზეზება შიშის სიმპტომია.

* * *

გულდაჯერებულობა უბრალო ამბავია, არც ჯანზე ყოფნაა ძნელი. ეს მანამდე, სანამ ყველაფერი ისეა, როგორც ჯერ არს. მაგრამ, როცა ცხოვრება იბზარება, გულდაჯერებულობა სულ უფრო ძნელი ხდება. და რასაც წარუმატებლობათა ტვირთქვეშ ვფიქრობთ ჩვენი თავის რწმენაზე, თავანკარა სიმართლეა.

* * *

მოთამაშე ის არის, ვინც მთელი დღე და ღამე სათამაშო ავტომატებთან ზის. მე კი ვამჯობინებ იმათ ფლობას, ავტომატებზე ვამბობ.

* * *

მრისხანებას ნუ დააუფლებინებთ თავს. ბევრი ჩემზე ფიქრობს, ბრაზიანი, ავი კაციაო, რაც სიმართლე არ არის. მე მტკიცე, მომთხოვნი ვარ, ოღონდ არც როდის გაცეცხლება არ ვიცი. დიახ, მტკიცე უნდა იყვე, მაგრამ გაუკონტროლებელი მრისხანება სიმტკიცე არ არის. პირიქით, სისუსტეა და მიზანს გაშორებს, მთელ კონცენტრაციას გინგრევს.

* * *

უკეთუ ადამიანი ხვდება, რომ შეცდომა მოუვიდა და მოიბოდიშა, ნუღარ გააწბილებ, მიუტევე, აპატიე, ოღონდ მეტად აღარ ენდო.

* * *

ვინც გარს გახვევიათ, ისინი დიდ ზეგავლენას ახდენენ თქვენზე, ჩვენ ყველანი ჩვენი გარემოცვის პროდუქტი ვართ.

* * *

სილამაზე, როგორც წესი, უპირატესობაა და არა დაბრკოლება, ხელის შემშლელი რამ.

* * *

რაში მდგომარეობს ახალგაზრდა მეწარმეთა მთავარი პრობლემა? საკუთარი თავის მიმართ სიბრალულში.

* * *

ხან საუკეთესო ინვესტიცია ის ხდება, რაც შენ არ მოგიღონისძიებია.

* * *

გამარჯვებულსა და წარუმატებელს შორის განსხვავება ის არის, როგორ ეხმაურება ადამიანი ბედის ყოველ ახალ შებრუნებას.

* * *

რა საჭიროა იმისთვის ბოდიშის მოხდა, რაც არცროდის საბოდიშო არ გამხდარა.

* * *

ვინც ფიქრობს, ჩემი დრო უკვე წასულიაო, ტრაგიკულად ცდება.

* * *

უკეთუ შენი უფროსი სადისტია, გათავისუფლდი იმ უფროსისგან და ახალი სამუშაო იშოვე.

* * *

გამარჯვებით მხოლოდ ხელმოცარულნი ტკბებიან.

* * *

თუ წინადადება ნამეტნავად კარგად გამოიყურება, რათა სიმართლედ მოგვაჩვენოს თავი, მაშასადამე, ყალთაბანდობასთან გვაქვს საქმე. ირგვლივ თვლა არა აქვთ ცუღლუტებსა და გაიძვერებს, რომელთაც მოხვეჭა უპატიოსნო გზით სწყურიათ, ამიტომ, როცა იმათგან ხიფათი თქვენს ფულს ემუქრება, დაიცავით თქვენი მონაგარი სხვის ხარჯზე ხეირის ნახვის მოყვარულთაგან. გარიგების დადებას რომ გადაწყვეტთ, მეტადრე თუ პარტნიორს ცუდად იცნობთ ანდა თუ ლაპარაკია თქვენთვის უცნობ ახალ დარგზე, აუცილებლად შეისწავლეთ შეთანხმების პირობები. წინდახედულობას თუ გამოიჩენთ, ვერცვინ თქვენს გაცურებას ვერ შეძლებს.

* * *

ყოვლის საუკეთესო ის არის, რის პოვნაც შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი ძიების შედეგად.

* * *

მრავალი წელიწადი იმაზე დავხარჯე, რომ მესწავლა იმის განსაზღვრა, ჩემი ერთგულია ადამიანი თუ არა. ამ ფასდაუდებელი უნარის ათვისება სასტიკი შეცდომების ფასად დამიჯდა, მაგრამ არა ვნანობ, რადგან ახლა ადამიანებისა და იმათი საქციელის მიზეზთა გამოცნობის ბევრად სწორი ალღო გამომიმუშავდა. ნამდვილად მეამაყება, რომ ბევრმა ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ საქმით დაამტკიცა თავისი კეთილგანწყობა ჩემთან დაკავშირებით.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №78-85

ვაჟა დანელიას ათამდე წიგნი აქვს გამოცემული სპორტულ თემატიკაზე – გამოჩენილ ქართველ ოლიმპიელებზე, სპორტსმენებზე, სპორტის მესვეურებზე. იგი ლექსებისა და მოთხრობების რამდენიმე კრებულის ავტორიც გახლავთ. ძნელია, წაიკითხო და არ დაგამახსოვრდეს მისი თავანკარა ქართულით შექმნილი მოთხრობები და ლექსები. თითქმის ყოველ მათგანში ნოსტალგიაა, დღევანდელობით გამოწვეული პრობლემებით გაჯერებული, მივიწყებულ ტრადიციებსა და ფასეულობებზე დარდი, მაგრამ მწერალმა და პუბლიცისტმა ჩვენი გაზეთის მკითხველებს დასაჭაშნიკებლად თავისი მინიატიურებიც შესთავაზა, რომლებიც საერთო სათაურში – „ყურმოკრული ამბებით“ გაუერთიანებია. შესანიშნავი იუმორისტული ჩანახატებია – ლაღი, ხალასი, სადღეისო გმირები კი ჩვენი თანამედროვენნი, რომლებიც ყოველ ჩვენგანს შეგვხვედრია, რომელთაც დავმგზავრებულვართ, გვიცინია მათ საქციელზე, ანდაც თავად ჩავვარდნილვართ ისეთ ანეკდოტურ სიტუაციაში, როგორსაც ვაჟა დანელია გვიხატავს.

29 აპრილს ვაჟა დანელიას დაბადების დღეა. ამაზე კარგ საჩუქარს რას გავუკეთებდით თავად ავტორსაც და მის ერთგულ მკითხველსაც.

კვლავაც ასე ხელხვავიანად და ორიგინალურად შეხვედროდე ყოველ დაბადების დღეს, ჩვენო საიმედო კოლეგავ!

მამუკა ვაშაკიძე

გელას ბიჭი

ავტობუსის გაჩერებასთან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შევხვდი. მოვიკითხეთ ერთმანეთი, სტუდენტობის წლებიც გავიხსენეთ. ლაპარაკით გული რომ ვიჯერეთ, ლევანი დამემშვიდობა – აქვე ახლობელთან მივდივარ და ფეხით გავივლიო. ორიოდე წუთიც არ გასულა, ერთი ვეფხვივით ბიჭი მეცა, გადამეხვია, როგორ ხარ, ბიძია, ოჯახში ხომ მშვიდობაა, რამდენი ხანია, არ გამოჩენილხართო. უცნობს თვალი შევავლე, მოკითხვისთვის მადლობა გადავუხადე და გაკვირვებული სახეში შევაჩერდი – ნეტავ, ვისი შვილია, ჩემი სახელი საიდან იცის-მეთქი. მიმიხვდა და უხერხული მდგომარეობიდან თავად გამომიყვანა.

– ვერ მიცანით?.. გელას ბიჭი ვარ...

მაინც ვერ გავიხსენე.

– რა კარგია, რომ შეგხვდით, ბიძია, – არ ცხრებოდა ყმაწვილი. – საფულე დავკარგე და უკაპიკოდ დავრჩი, ხურდა ხომ არ გექნებათ... „მარშრუტკის“ ფული მაინც.

უხერხულად პიჯაკის ჯიბეები მოვიქექე, ლარი და სამოცი თეთრი ამოჰყვა ხელს. მოვუბოდიშე მცირეოდენისთვის.

– არა უშავს, რაც მთავარია, სახლამდე მიმიყვანს. – მითხრა ღიმილით, კიდევ ერთხელ გადამეხვია და გაუჩინარდა.

ის იყო, ნაცნობ-მეგობრებს გონებაში ისევ შევავლე თვალი, რომ მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი. მოვიხედე და...

– ლევან, შენ? არ წასულხარ?

– გელას ბიჭი იყო? – კითხვაზე კითხვა შემომაგება ღიმილით.

– შენ საიდან იცი?

– მეც დამცინცლა ორი ლარი...

РАСЧЕСКА

იაპონიის პრემიერ-მინისტრი ვაშინგტონში პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან შესახვედრად ჩავიდა. თანამშრომლებმა გზად მისასალმებელი ორიოდე ინგლისური წინადადება ასწავლეს: პრეზიდენტს რომ ჰკითხავთ, how are you **(როგორ ბრძანდებით)? ის გიპასუხებთ,** I am fine, and you **(მე კარგად, თქვენ)? მაშინ თქვენ უნდა უთხრათ –** Me, too **(მეც, ასევე).**

ობამა თვითმფრინავის ტრაპთან შეხვდა საპატიო სტუმარს. პრემიერ-მინისტრს თათარიახნად ნასწავლი ფრაზები აერია.

– Who are you (თქვენ ვინ ხართ)? – ჰკითხა მასპინძელს.

ობამა არ დაიბნა

– Well, I am Michelle,s husband (მე კარგად, მიჩელის ქმარი ვარ), – უპასუხა ღიმილით.

– Me, too, – უთხრა პრემიერ-მინისტრმა და მასაც გაეცინა.

ამ ამბავმა ჭაბუკობისდროინდელი ერთი ეპიზოდი გამახსენა: სკოლის დამთავრების შემდეგ მახინჯაურში ვეწვიე ახლობლებს. მეორე დღეს ბათუმში მცხოვრები ნათესავების მონახულება გადავწყვიტე. ავტობუსში ავედი თუ არა, წინა სკამზე მჯდომი ქერათმიანი გოგონას სახემ შემომანათა. ღრმადეკოლტეიანი მინიკაბა ეცვა, ლამის პერანგის (სად ეცვა პერანგი?!) ამხანაგი გამოსჩენოდა. გული ამიჩქროლდა. ავტობუსში თავისუფალი ადგილები საკმაოდ იყო, მაგრამ ქერათმიანი ანდამატივით მიზიდავდა და ფეხს ვერ ვიცვლიდი. სოფლელმა ბიჭმა ცხოვრებაში პირველად გადავლახე მორცხვობის ზღვარი და იმ გოგონას გვერდით სკამზე მოწყვეტით დავეშვი, თითქოს შემეშინდა, არავის დაესწრო. ის ფანჯარასთან იჯდა და ზღვას გასცქეროდა. მალულად მისკენ გავიხედე და თავით ფეხებამდე შევათვალიერე. ჩემი მზერა დაიჭირა.

– У Вас расчески нет? – მკითხა რუსულად.

„ნეტუ“ კი ვიცოდი, რასაც ნიშნავდა, მაგრამ „რასჩოსკა“ მეუცხოვა. სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, გადაჭრით ვუთხარი, „ნეტუ“-მეთქი. გოგონას გაეღიმა, ზღვისფერი თვალებით მზერა ტალღასავით გადმომავლო და თავი ფანჯრისკენ მიაბრუნა, თან ფეხები გადაიჯვარედინა ისე, რომ მუხლი მუხლზე მომადო. ტანში ჭიანჭველებმა დამირბინეს, სიმწრის ოფლმა დამასხა.

ამ წამებაში საზღვაო სადგურს მივუახლოვდით. გოგონა წამოდგა, ჩასასვლეთთან ჩემკენ კიდევ ერთხელ გამოიხედა, ხელი დამიქნია და ავტობუსიდან ჩახტა. ერთი პირობა გაყოლა გადავწყვიტე, მაგრამ რა უნდა მეთქვა? სკოლაში რუსულად „მუმუს“ პირველი აბზაცის მეტი არაფერი მისწავლია. საკუთარ თავზე გავბრაზდი – დამეჯერებინა აპოლონ მასწავლებლისთვის და რუსული მესწავლა, ამ დღეში ხომ არ ჩავვარდებოდი – მარწყვივით გოგოს ვუშვებ ხელიდან.

მაინც, რას ნიშნავს „რასჩოსკა“? – ვფიქრობდი გზაში ჩემთვის. ეზოში შევედი. ახლობლები ჩრდილქვეშ ნარდს თამაშობდნენ. ჩემი სტუმრობა გაუხარდათ. ერთმანეთი მოვიკითხეთ თუ არა, ბიჭებს მოვუყევი, რაც თავს გადამხდა. გულიანად იცინეს – გოგოს შენი გამოჭერა ნდომებია და უარი გითქვამსო. რომ გავიგე, რასაც ნიშნავდა ის ჯადოსნური სიტყვა, გუნებაწამხდარმა გულისჯიბიდან ამოვიღე სავარცხელი და მიწაზე დავახეთქე.

ახია ჩემზე, დამეჯერებინა მასწავლებლისთვის და მესწავლა რუსული!

პრეზიდენტის ცოლი

რამდენიმე წლის წინათ კოჩია ერთ საჯარო ღონისძიებაზე მიიწვიეს – ჰოლანდიელი პროფესორი გენდერულ თანასწორობაზე კითხულობდა ლექციას. გაიქაფა სტუმარი – ქალი და მამაკაცი თანასწორი უნდა იყვნენ, მანდილოსნები იჩაგრებიან, აუცილებელია, ხელმძღვანელებად დავაწინაურეთო.

ტიტების ქვეყნის ენად გაკრეფილ წარმომადგენელს არ გამოჰპარვია, რომ ლექციის განმავლობაში კოჩიას მისთვის ირონიული მზერა არ მოუშორებია და ულვაშებში ეცინებოდა, ამიტომ შესვენებისას თარჯიმანთან ერთად სწორედ მას მიადგა.

– ჩემს სიტყვაში რაღაც არ მოგეწონათ, ხომ? – დაურიდებლად ჰკითხა მომხსენებელმა.

– იცით, სად ჩამოხვედით, ბატონო? – კითხვაზე კითხვა შეაგება კოჩიამ.

– რა თქმა უნდა... საქართველოში, – ოდნავ დაბნეულად უპასუხა ნიდერლანდელმა.

– მაშინ ისიც გეცოდინებათ, რომ ქალი მეფეები გვყავდა...

– ჰო, მაგრამ ეს წარსულში, – სიტყვა შეაწყვეტინა პროფესორმა.

– სამაგიეროდ, ახლა პარლამენტის თავმჯდომარე გვყავს ქალბატონი, რამდენიმე მინისტრიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენს პრეზიდენტსაც ქალი ჰყავს ცოლად, – სახიდან ღიმილი არ მოსცილებია კოჩიას, რომელიც პირდაღებულ სტუმარს დაემშვიდობა და გასასვლელისკენ გაემართა.

სოლთ ლეიქ სითი

2002 წლის ზამთრის თამაშებზე გამგზავრების წინ ოლიმპიურ სოფელში ქართული მისიის ხელმძღვანელ ირაკლი ჯაფარიძეს ახალგზდა ჟურნალისტი გაესაუბრა.

– თქვენ ახლა სად მიდიხართ? – ჰკითხა კორესპონდენტმა.

– ოლიმპიადაზე სოლთ ლეიქ სითიში.

– დელეგაციის წევრები სად იცხოვრებთ?

– მე და სპორტსმენები – ოლიმპიურ სოფელში, დანარჩენები – ქალაქში.

– რომელ ქალაქში? – ისევ ჩაეკითხა ჟურნალისტი.

– სოლთ ლეიქ სითიში, – ცოტა არ იყოს, დაიბნა ბატონი ირაკლი.

– ეს გავიგე, მაგრამ ამ სამი ქალაქიდან რომელში?..

ჩემი ცოლის დაქალები

მოუსვენარი, სიცოცხლით სავსე გოგონაა მარი, ჩემი მეზობლის შვილიშვილი. ჯერ მხოლოდ ოთხი წლისაა, მაგრამ უკვე წერს და კითხულობს ქართულად, თუმცა, წიგნებზე მეტად თოჯინებით გართობა უყვარს. იმ დღესაც მათთან თამაშით იქცევდა თავს.

– შენ რა, ვერ გაიგე, რა გითხარი? – იკივლა უცებ მარიმ და ერთ-ერთი თოჯინა კედელს მიანარცხა, შენი დედაცო... სართულებიანი გინებაც ზედ მიაყოლა.

გაოცებისგან პირი დავაღეთ.

– შვილო... ეგ რა თქვი? – ძლივს ამოღერღა ბებომ.

– „ჩემი ცოლის დაქალებში“ რა, უარესი გინება არ გაგიგონიათ?

სხვათა შორის ჩაილაპარაკა მარიმ, ისე, რომ ჩვენთვის ყურადღება არც მოუქცევია და თამაში განაგრძო.

გაშაირება

სამუშაოდან მომავალ კოჩიას გზად მეზობლის ქვრივი შემოხვდა.

შეზარხოშებულმა გაშაირება სცადა და წაუღიღინა:

– თეთრი წინდები ჩაგიცვამს,
ნაბადივით თბილია,
საკოცნელი ტუჩები გაქვს,
შაქარივით ტკბილია.

ქალი შეჩერდა, თავსაფრის ქვემოდან გახედა მეზობელს.

– რა დაგიშავე, კოჩია,
რად გამიფუჭე გუნება,
ახლა მოგინდი, როდესაც
ძილშიც არ გეფაჩუნება...

პირდაფჩენილმა კოჩიამ კრინტიც ვერ დაძრა, ქალმა კი კარკაცით განაგრძო გზა.

კისერმოღრეცილები

გაჩერებაზე ავტობუსში წინა კარიდან ხანდაზმული ქალი ამოვიდა, ბილეთი აიღო და მგზავრები შეათვალიერა.

– თუ შეიძლება, უკან გადაიწიეთ, – სთხოვა ცოტა ხნის შემდეგ კოჩიამ.

– რატომ, ბატონო, აქ რამეს გიშავებთ? – თავს ძლივს იკავებდა მოხუცი.

– მე – არა, ქალბატონო, მაგრამ ხომ ხედავთ, ახალგაზრდებს ფანჯრისკენ ყურებით კისრები მოეღრიცათ, – უპასუხა კოჩიამ.

გაგიჟდი?!

ის იყო, კოჩია რუსთაველის პროსპექტზე გადარბენას აპირებდა, რომ მის ფეხებთან „მერსედესმა“ ღრჭიალით დაამუხრუჭა.

– გაგიჟდი? – უყვირა მიტკლადქცეულმა ახალგაზრდა მძღოლმა.

– კაცო, თვალებში ვერ იხედები? – ბრალი დასდო მანქანის პატრონს. – ხომ ხედავ, ქუჩაზე გადავდივარ!

– ჩემი გზაა...

– შენი, რა, ბაბუაშენმა დაგიტოვა?! – არ დაუთმო კოჩიამ. –არ გასწავლეს, ნელა იარე და ქვეითებს პატივი ეციო?!

– ღმერთო, ყველა სულელი მე როგორ უნდა გადამეყაროს! – იქუხა ისევ მძღოლმა.

– ჰოდა, გზა სწორედ სულელებს უნდა დაუთმო, თორემ ჭკვიანი ქუჩას აქ გადაკვეთდა?! – თავი იმართლა კოჩიამ და ბორდიურს გაუყვა.

სტილისტი

გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე ერთხელ დერეფანში ქერათმიან მანდილოსანს შეეჩეხა, რომელიც კარებთან გაკრულ წარწერებს ათვალიერებდა.

– ვის ეძებთ, ქალბატონო? – მიმართა თავაზიანად.

– ცისანა მინდოდა, – ანგარიშმიუცემლად წამოიძახა უცნობმა და სახეზე წამოწითლდა, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

– დღეს არ იქნება... რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– თქვენ – არა, პირადად მინდოდა მისი ნახვა... ორი დღის წინათ დამირეკა და მითხრა, სტილისტი მჭირდებაო.

– სტილისტი?! – გაიოცა ბატონმა თენგიზმა. – ჩვენ რომ გვყავს!

– რომ გყოლოდათ, ხომ არ შემეხმიანებოდა! – მხრები აიჩეჩა ქერათმიანმა.

– ქალბატონო, გაზეთის რედაქტორი მე ვარ და უკეთ ვიცი, სტილისტი მჭირდება თუ – არა. – ხმაში სიბრაზე დაეტყო.

უცნობს გაეღიმა.

– თქვენ ვერ გამიგეთ, ბატონო, მე პარიკმახერი ვარ, პარიკმახერი...

სიყვარულის დღე

გაზაფხულისთვის უჩვეულოდ თბილი ამინდია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან უამრავი ხალხი ირევა. ყვავილების გამყიდველები ყოჩივარდებისა და იების კონებს სთავაზობენ გამვლელ-გამომვლელთ.

ერთმა აშოლტილმა ქალიშვილმა მეორე კორპუსთან ახალგაზრდების ჯგუფი გამოარღვია. მოდის და მოღელავს მკერდსავსე, დეკოლტე-მინიკაბიანი.

– ნახე, ნახე, რა მაგარია! – ეუბნება ჭადრების ჩეროში მდგარი ერთი წვეროსანი ხვეულთმიანი ჭაბუკი მეორეს.

– ჰო, მაგარია, მაგრამ ჩემი ჯობია!

ისინი თავიანთ აიფონებს დასჩერებოდნენ...

ერთხელ დიდმა აინშტაინმა დაიჩივლა – მეშინია იმ დღის, როდესაც ადამიანურ ურთიერთობებს ტექნიკა გადაწონის, მსოფლიოს იდიოტების თაობა ეყოლებაო.

სტივენ ჰოკინგისა და ელენ მეისონის ქორწილი (1995 წ.)

ჰოკინგის გამოსხივება

კაცი, რომელიც ჯერ კიდევ 50 წლის წინათ უნდა გარდაცვლილიყო, მაგრამ გენიალური ფიზიკოსიც გახდა და ორჯერაც იქორწინა კიდეც, ბრიტანელი სტივენ ჰოკინგია.

ამ კაცის სიკვდილის ამბავი მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყნის მედიასაშუალებებით გაშუქდა, მის შესახებ ქალებისთვის განკუთვნილი ჟურნალებიც კი წერდნენ. ბოლო წლებში მის ლამის კოსმიური ხომალდივით რთულ ინვალიდის ეტლს, მეტყველების სინთეზატორსა და პირიდან გადმოსულ დორბლს უკვე აღარავინ ამჩნევდა — ყოველივე ეს მხოლოდ ჩვენი დროის უდიდესი ფიზიკოსის სტივენ ჰოკინგის სახის ჩვეული წვრილმანები იყო, რომელიც სულ სხვა რამის გამო იყო უაღრესად მნიშვნელოვანი.

ახლა მეცნიერები მის კოსმოსის გამოკვლევებს, პაციფისტები — სამშვიდობო გამოსვლებს, რიგითი მოქალაქეები — დიდი აფეთქების მისეულ ახსნას იხსენებენ, რის წყალობითაც ეს სრულიად იდუმალი კოსმოგენიური მოვლენა ბევრისთვის იმდენად გასაგები გახდა, რომ მის შესახებ საუბარი ყავის სმის დროსაც კი შეიძლება! იმასაც იხსენებენ, რომ თავად ჰოკინგი თავს უბედნიერეს კაცად მიიჩნევდა, ვინაიდან ერთადერთი სიცოცხლის გატარება მას დედამიწაზე მოუხდა, ტაბლოიდები კი კვლავაც მისი ორი ქორწინებისა და ამდენივე განქორწინების დეტალებს უბრუნდებიან. არც მის მიერ აღმოჩენილი კოსმიური შავი ხვრელების განსაკუთრებული გამოსხივება ავიწყდებათ, რომელიც მის სახელს ატარებს.

სტივენ ჰოკინგი 2018 წლის 14 მარტს კემბრიჯში თავის სახლში გარდაიცვალა. „სამყაროს არ ექნებოდა დიდი აზრი, იგი საყვარელი ადამიანების ადგილსამყოფელი რომ არ ყოფილიყო“, — უთქვამს ერთხელ.

მას ამქვეყნად საყვარელი ქალები დარჩნენ, ერთ მათგანთან ცხოვრებამ ის გახადა სტივენ ჰოკინგი, რომელსაც მსოფლიო იცნობს, რომელმაც იგი არაერთხელ გადაარჩინა და „ოსკარიც“ კი მიიღო. მეორესთან თანაცხოვრება კი „ვნებიანი და ბობოქარი“ იყო, ყვითელი პრესისა და... პოლიციის ცხოველ ინტერესს იწვევდა.

20 წლის ასაკში ექიმები სტივენ ჰოკინგს ეუბნებოდნენ, რომ მხოლოდ ორი წლის სიცოცხლეღა დარჩა, მას კი იმ დროს პირველი სიყვარული ესტუმრა, თავში უმნიშვნელოვანესი მეცნიერული მიგნება უტრიალებდა, სიცოცხლე და დედამიწაზე გაჩენის ბედნიერებით ტკბობა და ყოველგვარი სიკეთით დატკბობა სურდა.

ძალიან ბევრი რამ აკი მოასწრო კიდეც.

მაგალითად მოასწრო **ჯეინ უალდთან** სიყვარულით გახარება. იგი გენიალური სტუდენტი იყო, რომელიც თავის პროფესორებს ულტიმატუმებს უყენებდა და საკუთარ ნაშრომებს ნაგავს ატანდა. სტივენ ჰოკინგი იყო კაცი, რომელმაც ცხოვრებაში სიყვარულსაც უმასპინძლა, უდიდეს სამეცნიერო მიგნებებსაც და, ამასთან, საშინელი დიაგნოზი — გვერდითი ამოტროფიული სკლეროზი, ნეიროდეგენერაცია ჰქონდა. იგი დიდ მეცნიერობასა და დაჯახებაზე ოცნებობდა, ამ დროს კი ხელ-ფეხს ვეღარ იმორჩილებდა, მერე მთელ სხეულზე დაკარგა კონტროლი... ამის გამო სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობდა და მაშინ ჯეინი თავად მივიდა მასთან. მათ იქორწინეს და სტივენი დიდი მეცნიერი გახდა.

ეს ჯეინის თავგამოდების წყალობით მოხდა.

მანამდე კი, ვიდრე სტივენის სხეულს მისხალ-მისხალ უმოწყალოდ შთანთქავდა სასტიკი სენის ჭეშმარიტად „შავი ხვრელი“, რომელიც სიცოცხლის ბოლოს ლოყაზე მხოლოდ ერთი მიმიკური ძარღვიღა უმოქმედებდა, რომლის წყალობით ცხადია, კომპიუტერის დახმარებით, მას მთელი თავისი სასიცოცხლო პროცესების მართვა შეეძლო, ჯეინ უაილდი თავგანწირულ სამსახურს უჩუმრად განაგრძობდა. წლების მანძილზე მან სტივენს სამი შვილი გაუჩინა(!) — **ლუსი, რობერტი** და **ტიმი,** რაც თავისთავად სასწაული იყო, თანაც ყოველდღიურად მეუღლეს საკვებს უქუცმაცებდა, ზურგზე ჩვილწამოკიდებული მას ყოველდღიურ ყოფაში ეხმარებოდა, თანაც მთელ მსოფლიოში დაჰყვებოდა.

„ჩვენი ქორწინების მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მასში ოთხი პარტნიორი იყო — მე, სტივენი, სნეულება და ფიზიკა“, — დაწერს ჯეინი მოგვიანებით.

ჰოკინგი იმდენად დიდი, ჯეინი კი ისეთი წმინდანი იყო, რომ ქალის თქმით, 2018 წლისთვის მათი ურთიერთობა უფრო ბატონისა და მონის დამოკიდებულებას ჰგავდა, თანაც მდგომარეობას სტივენის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი ქალბატონები აფუჭებდნენ, გამუდმებით ერთმანეთის მონაცვლე მომვლელი ქალები კი მათ ერთობლივ ცხოვრებას სულაც აუტანელს ხდიდნენ.

„ვგრძნობდი, რომ მეტის გამძლეობა აღარ მყოფნიდა, რამდენიმეჯერ თვითმკვლელობის ზღვარზე ვიყავი“, — უდიდესი გულისტკივილით იტყვის ჯეინი შემდგომ. ეს იყო სიყვარული, რომელიც იმ კაცის ყოველდღიური მოვლა-პატრონობის კლდეებს შეელეწა, რომელსაც სამყაროს შესახებ მრავალ კვლევით ინსტიტუტზე მეტი ესმოდა, მაგრამ თავისით ცხვირის მოფხანაც კი არ შეეძლო. ეს ის სიყვარული იყო, რომელიც თვითგანწირვის ათობით წლის ზევარაკი გახდა და რომელიც ჰოკინგის საქვეყნოდ ცნობილმა იუმორმაც კი ვერ იხსნა.

ახლა საქმე თავად ჯეინის გადარჩენაზე მიდგა.

და ჰოკინგი წავიდა ამაზე. მისმა ცოლმა საეკლესიო გუნდში დაიწყო გალობა, რათა დარდი გულიდან გადაეყარა, ძალა რწმენაში მოენახა. მერე კი სხვა, უბრალოდ, ჩვეულებრივი მიწიერი კაცი შეხვდა, რომელსაც ამ ქვეყნად მარტო მასთან ყოფნა სურდა... საეკლესიო გუნდის ლოტბარი **ჯონათან ჯონსონი** მათი ოჯახის მეგობარი გახდა, რომელიც ჯეინს ეხმარებოდა, სტივენით კი აღფრთოვანებული იყო, თუმცა თავის გრძნობებზე კრინტს არ ძრავდა.

უმძიმესი პნევმონიის შედეგად სტივენმა ხმა დაკარგა და როცა მეცნიერის მდგომარეობა უიმედო იყო, ექიმებმა ჯეინს მისი ხელსაწყოებიდან გათიშვა შესთავაზეს, მაგრამ ქალმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო, რითიც ქმარს კიდევ მრავალი წლის სიცოცხლე აჩუქა

ჰოკინგს ტრაქეოტომია ჩაუტარეს, ხორცი გაუხვრიტეს და ჰაერს გზა გაუხსნეს, რის შედეგად მან თავისით სუნთქვა შეძლო, მაგრამ მეტყველება დაკარგა. ამრიგად, მის მაგივრად ლაპარაკი კომპიუტერმა დაიწყო — მრავალრიცხოვან ინტერვიუებში, რომლებიც დედამიწის მოგავალს ეხება, მის „მაგივრად“ კომპიუტერი „ლაპარაკობს“. იგი უაღრესად აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა — ხვდებოდა ინგლისის დედოფალ ელისაბედ მეორესა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას, ნავარდობდა უწონადობაში და კინოში საკუთარ როლს ასრულებდა, მისი წიგნი „დროების მოკლე ისტორია“ მილიონიანი ტირაჟებით გაიყიდა და ჩვენი დროის უკაშკაშეს ვარსკვლავად იქცა, რომლის უცრემლოდ თვალის გასწორება შეუძლებელია.

ჯეინი კი მუდამ მიწაზე რჩებოდა, იმ მიწაზე, სადაც მას ჯონათანი ელოდა. ამ ნამდვილად არაჩვეულებრივ ქორწინებაში საკუთარი თავის შენარჩუნება, ერთმანეთის მადლიერების გრძნობით გაშვება და ხელახლა შეყვარება — ეს ის უდიდესი გმირობაა, რომლის განხორციელება ჰოკინგებმა შეძლეს.

ჯეინ უალდთან კავშირის გაწყვეტიდან ხუთი წლის შემდეგ, სტივენმა ცოლად თავისი მომვლელი ელენ მეისონი შეირთო, თუმცა ეს უკვე სულ სხვა ამბავია. ამ ქორწინების 11 წლის მანძილზე კემბრიჯის პოლიციაში არაერთი განცხადება შევიდა მეცნიერზე სავარაუდო თავდასხმების სერიის თაობაზე, თუმცა ჰოკინგი მუდამ იცავდა ცოლს — „იგი არაფერ შუაშია“, — აცხადებდა ის.

ბავშვები დედინაცვალთან არ ურთიერთობდნენ, რადგან მასზე ანგარებისა და მამასთან სასტიკი მოპყრობის ეჭვი ჰქონდათ... მერე კი ეს ქორწინებაც დასრულდა — **„ქალები ამოუხსნელ გამოცანას წარმოადგენენ“,** — ასე დაასრულა ჰოკინგმა სამყაროს მოწყობის თაობაზე თავისი თეორია.

სტივენ ჰოკინგმა ჩვეულებრივი სიცოცხლის გზა განვლო, რომელშიც სიყვარულიც იყო, განშორებაც, ეჭვიანობაც, წინდაუხედაობაც, შვილებითა და შვილიშვილებით გახარებაც... დიახ, მან ამ ცხოვრებით იცხოვრა და ეს ყველაფერზე კარგი რამ იყო, რაც მას შეიძლებოდა თავს გადახდენოდა: **„რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება, ვიდრე ის გრძელდება, იმედი მუდამ არის“,** — ესეც მისი სიტყვებია...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

მეუღლე ჯეინ უალდთან და შვილებთან — ტიმთან (1979), რობერტთან (1967) და ლუსისთან (1970) ერთად.

სად, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1961 წლის 12 აპრილს

განხორციელდა მსოფლიოში ფრენა დედამიწის გარშემო კოსმონავტ იური გაგარინის მიერ ხომალდ-თანამგზავრ „ვოსტოკით“.

1918 წლის 12 აპრილს

გამოიცა რუსეთის სახკომსაბჭოს დეკრეტი „მეფეთა და მათი მსახურების პატივსაცემად აღმართული ძეგლების აღების და რუსეთის სოციალისტური რევოლუციის პატივსაცემი ძეგლების პროექტების შემუშავების შესახებ“, რომელმაც სათავე დაუდო ბოლშევიკურ მონუმენტურ პროპაგანდას.

1879 წლის 14 აპრილს

ყოფილმა მასწავლებელმა ალექსანდრ სოლოვიოვმა რევოლვერიდან ხუთი ტყვია დაახალა ზამთრის სასახლესთან მოსეირნე იმპერატორ ალექსანდრ II-ს და ... ხუთივე ააცილა.

1934 წლის 16 აპრილს

სსრკ ცაკ-ის დადგენილებით შემოიღეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

1713 წლის 16 აპრილს

მოსკოვში გარდაიცვალა მეფე არჩილ II, იმერეთის მეფე 1661-1663, 1678-1679, 1690-1691, 1695-1696 წლებში, კახეთის მეფე 1664-1675 წლებში, ქართლის ბაგრატიონთა ერთადერთი წარმომადგენელი კახეთის ტახტზე. საფუძველი ჩაუყარა ქართველთა სათვისტომოს რუსეთში, დატოვა დიდი პოეტური მემკვიდრეობა.

1811 წლის 19 აპრილს

საქართველოს მთავარსარდალმა ალექსანდრ ტორმასოვმა გამოსცა სპეციალური დებულება იმერეთში რუსული მმართველობის შემოღების შესახებ, დებულების თანახმად, იმერეთის სამეფოს ტერიტორია იმერეთის ოლქებად იწოდა, რომელიც 6 მაზრად იყოფოდა — ქუთაისის, საჩხერის, ვაკის, რაჭის, ჩხარის, ბაღდათის.

1770 წლის 20 აპრილს

ასპინძასთან ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ სასტიკად დაამარცხა თურქთა და ლეკთა ლაშქარი. მტერმა ბრძოლის ველზე 4 ათასი მოკლული დატოვა. ერეკლემ თავისი ხელით მოკლა ლეკთა მეთაური მალაჩილა (კოხტა ბელადი), დაიღუპნენ თურქთა კორპუსის მეთაური და რამდენიმე ცნობილი ფაშა. მოკავშირე რუსთა ჯარის მეთაურის გენერალ ტოტლებენის მიერ მოღალატურად მიტოვებულმა ქართულმა მხედრობამ (დაახლოებით 7 ათასი კაცი) ასპინძასთან დიდი გმირობა და შემართება გამოიჩინა. ხელთ იგდო ტყვეები, ცხენები და დიდძალი იარაღი.

ცხინვალი ფაროსანას საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე შეაჩერებს?

ცხინვალის ხელისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფაროსანას მოხვედრის გამოსარიცხად ზომებს ამკაცრებს. კერძოდ, „იუგოსსელხოზნადზორი“ „რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე შემავალი ყველა სახის მცენარეული საქონლის დეტალურ შემოწმებას იწყებს.

დე ფაქტო უწყების ხელმძღვანელ ალან მარგიევის განცხადებით, მკაცრდება კონტროლი როგორც „რუქის“ (ოსური სახელწოდება – რუსეთთან დე ფაქტო საზღვარი), ისე „რაზდახანის“ (ოსური სახელწოდება – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიასთან გამყოფი ხაზი) საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე.

„ამჟამად იქ ბოლომდე მოწმდება როგორც ყველა ტვირთი და მთელი მცენარეული საქონელი, ისე სატრანსპორტო საშუალებები“, – განმარტა მარგიევმა.

ოსი მეცნიერი ვიაჩესლავ ჯაბიევი სანიტარული კონტროლის შემოღებას დროულად მიიჩნევს, თუმცა აღნიშნავს, რომ „თუ ფაროსანას საქართველოდან შემოტანა დივერსიაა, მაშინ მიღებული ზომები მას ვერ შეაჩერებს“: **„არსებობს ვარაუდი, რომ ფაროსანას გამოჩენა დივერსიაა, რადგან, როგორც ვიცით, საქართველოში მოქმედებს ბიოლაბორატორია და ეს მწერი შესაძლოა, იქიდან იყოს გავრცელებული. ამავდროულად, ფაროსანამ ხომ თავად საქართველოც დააზარალა, სადაც თვლიან, რომ ის თურქეთიდან შემოვიდა. ასეა თუ ისე, ჩვენს ტერიტორიაზე მისი მოხვედრის გამოსარიცხად აუცილებელია სერიოზული პროფილაქტიკური ღონისძიებები. მაგრამ თუ ეს დივერსიაა, მაშინ არანაირი პროფილაქტიკა არ გვიშველის“.**

ჯაბიევი დასძენს, რომ მკაცრი ზომების სახით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საქართველოდან შემოტანის სრული აკრძალვაც, თუმცა აუცილებელია სერიოზული პროფილაქტიკური ღონისძიებებიც, მათ შორის – კარანტინის შემოღება და საქონლის სპეციალური ნივთიერებებით დამუშავება.

ოსი ექსპერტი როლანდ ქელეხსაევი ასევე თვლის, რომ ადგილობრივი სპეციალისტების მიერ მიღებული ზომები შესაძლოა, ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდეს: **„ვფიქრობ, საზღვარზე ავტოტრანსპორტის სპეციალური პრეპარატებით დამუშავება აუცილებელია, თუმცა, ცხადია, ფაროსანას მხოლოდ საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით როდი შეუძლია შემოღწევა – ის საზღვარს ნებისმიერ სხვა წერტილშიც თავისუფლად გადმოკვეთს. ამდენად, უნდა მოვიმარაგოთ რეაგენტების საკმარისი რაოდენობა“.**

ცნობისთვის: 2014 წელს ფაროსანა რუსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, სოჭში გამოჩნდა, 2015 წლიდან კი – უკვე საქართველოშიც, კერძოდ, აფხაზეთში.

რატომ მიდიან რუსეთის მოქალაქეები აშშ-ის ვიზის მისაღებად საქართველოში?!

გავლენიანი ამერიკული გამოცემის, „The Washington Post“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია სიტუაცია, რომელიც რუსეთ-აშშ-ის შორის ურთიერთობის გაუარესების შედეგად წარმოიქმნა: ამერიკელი დიპლომატების რაოდენობის შემცირებამ რუსეთის მოქალაქეებისთვის აშშ-ში გასამგზავრებელი ვიზების გაცემის პროცესი შეაფერხა. უბრალო ადამიანები **„ჯვარედინ დიპლომატიურ ცეცხლში“ მოხვდნენ, რომელშიც აშკარად ჩანს „ცივი ომის“ კონტურები. ერთი წლის წინათ აშშ-ში გასამგზავრებელი ტურისტული ვიზა ერთ კვირაში შეიძლებოდა მიეღო მსურველს, ახლა კი ვიზის მიღებას რვა თვის ლოდინი ჭირდება“,** – ნათქვამია სტატიაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ემი ფერის-როტმანის ავტოროობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

აშშ-ის ვიზას 250 დღე რომ არ ელოდონ, რუსეთის ასობით მოქალაქე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიდიან, ვთქვათ, ლატვიაში, აგრეთვე იმ ქვეყნებში, რომლებიც ამერიკას არ უპირისპირდებიან, იმ იმედით, რომ იქ არსებული აშშ-ის საელჩოს სამსახურით ისარგებლონ. ამ მხრივ კავკასიაში მთელი კუსტარულ-ტურისტული მიმართულება ჩამოყალიბდა – „ღვინო და ვიზები“, რომლის თანახმად, ვიზების ლოდინში მაძიებლებს შეუძლიათ დრო კარგად გაატარონ: „სასიამოვნოს სასარგებლო“ შეუთავსონ და ექსკურსიები მოაწყონ რესტორნებსა და მარნებში ქართული ღვინოების დასაგემოვნებლად.

მაგრამ, რასაკვირველია, ყველას არ აქვს იმის დრო და ფული, რომ მეზობელ ქვეყანაში წავიდეს ამერიკის ვიზის მიღების მიზნით. ამიტომ აშშ-ში წამსვლელი რუსების რაოდენობამ მკვეთრად იკლო. ისინი სხვადასხვა ქვეყნების მიმართულებებში გადანაწილდნენ.

საერთოდ, აშშ-ში წამსვლელების რაოდენობა განსაკუთრებთ ბევრი არასოდეს ყოფილა. ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2017 წელს ამერიკაში რუსეთის 240 ათასი მოქალაქე იმყოფებოდა, მათგან ძირითადად ან ბიზნესმენი იყო, ან სტუდენტი. დღეს ამერიკა ბევრს მიუღწეველ ქვეყნად ეჩვენება და იქ წასვლაზე ფიქრი უფრო ფანტაზიებს ჰგავს.

ალბათ, კრემლს ძალიან უხარია, რომ სულ უფრო ცოტა რუსი გაემგზავრება ამერიკაში და შესაბამისად, ასევე ნაკლები რაოდენობის რუსი მოხვდება დასავლეთის რბილი ძალის ზემოქმედების ქვეშ. გასულ კვირას რუსეთმა თავის მოქალაქეებს, რომლებიც „არამეგობრულ ქვეყნებში“ სწავლობენ, მოუწოდა, რომ უარი თქვან დასავლური განათლების მიღებაზე, დაბრუნდნენ რუსეთში და სწავლა ეროვნულ უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელონ.

„THE WASHINGTON POST“ (აშშ)



ღვინო – ქართული, გადაზიდვა – სომხური!!!

ქართული ღვინო ბოლო წლებში რუსეთში პოპულარობის ზენიტშია, მაგრამ რუსები მის შეტანას სომხებს უკვეთავენ. გამოდის, რომ ჩვენი ღვინო ჩვენივე ტერიტორიის გავლით მეორე ქვეყანაში მესამე ქვეყნის გადამზიდავებს შეაქვთ. მართალია, ადგილობრივი კომპანიები თვითონ ეწევიან ექსპორტს, მაგრამ სომხური ტრანსპორტის წილიც ამ საქმეში თანდათან იზრდება. ღვინის ეროვნულ სააგენტოში კი ამბობენ, რომ წელს მთავარი ამოცანა იქნება ახალ ბაზრებზე დამკვიდრება, რათა საქართველოს მეღვინეობის ინდუსტრია ისევ მეზობელი სახელმწიფოს კეთილ ნებას არ ჩამოეკიდოს.

ტრანსპორტის საკითხებზე მომუშავე პლატფორმა „ჰაბ ჯორჯიას“ გამგეობის წევრი **პაატა ცაგარეიშვილი** ამბობს, რომ ქართული ღვინო რუსეთში სომეხ გადამზიდავებს გააქვთ. მათი სატრანსპორტო საშუალებები შემოდიან საქართველოში, აქ ტვირთავენ ჩვენს ღვინოს და რუსეთის მიმართულებით გააქვს. პირიქით კი ქართულ მანქანას არ აქვს უფლება, სომხეთში შევიდეს და იქ, ადგილობრივი პროდუქციით დაიტვირთოს.

„რუს და სომეხ მეწარმეებს ეს მარკეტინგული რგოლი კარგად აქვთ აწყობილი. რუსეთის გადამზიდავი ამ დაკვეთას სომეხ გადამზიდავს აძლევს, შემდეგ სომეხი გადამზიდავი ქირაობს საქართველოში მანქანას ან უფრო მეტიც, სომხეთის სატრანსპორტო საშუალება შემოდის საქართველოში, აქ იტვირთება ჩვენი ღვინით და რუსეთის მიმართულებით გააქვს.

საინტერესოა, რომ რატომღაც ქართულ მანქანას არა აქვს უფლება, სომხეთში შევიდეს და იქ, ადგილობრივი პროდუქციით დაიტვირთოს. ამას იმით ხსნიან, რომ სომხეთი ევრაზიულ კავშირშია გაერთიანებული შესაბამისად, სომხეთიდან რუსეთში გადაზიდვა შიდა გადაზიდვად ითვლება და სხვა ქვეყნის გადამზიდავს ჩართვის უფლება არა აქვს“, – აღნიშნა „საქმე“-ში ცაგარეიშვილმა.

ბოლო 30 წლის მანძილზე, ქართული ღვინის ექსპორტმა სარეკორდო ნიშნულს მიაღწია. ღვინის ეროვნული სააგენტოს დაზუსტებული მონაცემებით, **2017 წელს, მსოფლიოს 53 ქვეყანაში, 76,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო გაიყიდა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელია.**

შარშან ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა თითქმის 170 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით ექსპორტი 54%-ით, ხოლო შემოსავალი 49%-ით არის გაზრდილი.

ქართული ღვინის გასაღების მთავარი ბაზარი სწორედ რუსეთია, სადაც მთელი ექსპორტის 62% ანუ 47,7 მლნ ბოთლი ღვინო გაიყიდა. შესაბამისად, ჩვენი პროდუქციის მნიშვნელოვანი წარმატება ისევ ჩრდილოეთ განედებს უკავშირდება. ამით, როგორც გამოჩნდა არა მარტო ქართველი მწარმოებლები, არამედ მეზობელი ქვეყნის გადამზიდავებიც საკმაო ხეირს ნახულობენ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **გიორგი სამანიშვილი** ამბობს, რომ 2018 წელს, მთავარი პრიორიტეტი ქართული ღვინის ხარისხის ზრდა და ახალ ბაზრებზე დამკვიდრება იქნება:

„რუსეთის მიმართულება უნდა შენარჩუნდეს. ეს არის უზარმაზარი ბაზარი, სადაც ქართულ ღვინოს დიდი ხანია, იცნობენ და აფასებენ, მაგრამ ჩვენი მიზანია, არ ვიყოთ დამოკიდებული არა მხოლოდ ერთ ბაზარზე, არამედ ერთ რეგიონზეც. მიუხედავად იმისა, რომ გაყიდვები რუსეთსა და უკრაინაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, მაინც გვინდა, ქართული ღვინო რეგიონიდან ახალ ბაზრებზე გავიდეს“, – აღნიშნა სამანიშვილმა.

გეძა დანელია

კიმ ჩენ ინი სამხრეთ კორეაში ჩავიდა

კიმ ჩენ ინი პირველი ჩრდილოეთ კორეელი ლიდერი გახდა, რომელმაც 1953 წლის კორეის ომის შემდეგ ნახევარკუნძულის გამყოფი სამხედრო ხაზი გადაკვეთა და სამხრეთ კორეაში ჩავიდა. საზღვართან მას სამხრეთ კორეის პრეზიდენტი მუნ ჯე ინი დახვდა.

ორი ქვეყნის ლიდერებმა ხელი სიმბოლურად საზღვრის მოპირდაპირე მხარეს მდგომებმა ჩამოართვეს.

„მოხარული ვარ ჩვენი შეხვედრის“, – უთხრა კიმ ჩენ ინს სამხრეთ კორეის ლიდერმა. დემილიტარიზებულ ზონაში მდებარე სამშვიდობო სახლში, სადაც ლიდერები მოლაპარაკებებისთვის შევიდნენ, სტუმრების წიგნში კიმ ჩენ ინმა ჩანაწერი დატოვა: „ეს ახალი ისტორიის დასაწყისია, იწყება ახალი, მშვიდობის ერა“.

ისტორიული შეხვედრის განხილვის თემა ჩრდილოეთ კორეის გადაწყვეტილებაა, რომლის მიხედვითაც ის ბირთვული იარაღის წარმოების შეწყვეტას განიხილავს.

◎ ჩოგბურთი

ნიკოლოზის ბუდაპეშტი

უნგრეთის ღია ტურნირის მერვედფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილმა კანადის სახელით მოასპარეზე დენის შაპოვალოვი 6:2, 6:4 დაამარცხა. საქართველოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა შესვედრა კარგად ჩაატარა და შეცდომებს ნაკლებად უშვებდა, რასაც ვერ ვიტყვით მსოფლიო რეიტინგის 43-ე ნომერსა და ბუდაპეშტში მეოთხე ნომრად განთესილზე, რომელიც უზუსტო თამაშის გამო რამდენჯერმე დაბრეიკდა.

19 წლის დენისმა შვიდი ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო ნიკამ — სამი. აუღებელი ჩაწოდებით შაპოვალოვმა ქულა სამჯერ აიღო, ქართველმა კი — ორჯერ. ბასილაშვილმა მეტოქის მოწოდებაზე გეიმი ხუთჯერ მოიგო, ხოლო კანადელმა ბრეიკი ორჯერ შეასრულა, თუმცა, ლიდერის რანგში მყოფი ჩოგბურთელისთვის აღნიშნული საკმარისი არ გამოდგა.

ბასილაშვილის მომავალი მეტოქე იტალიელი ანდრეა სეპი იქნება, რომელმაც მერვედფინალში მიხაილ იუჟნი 6:1, 6:2 დაჯაბნა. გასულ წელს ლიონის ტურნირის მერვედფინალში ნიკამ აპენინელი 6:4, 6:4 დაამარცხა. ამჟამად სეპი მსოფლიოს რეიტინგში 55-ე პოზიციაზე იმყოფება

კოგა კოგახიძე

◎ ლეგიონერი

ევროლიგას დაემშვიდობა

ესპანურმა „ბასკონიამ“ ევროლიგის მიმდინარე გათამაშებაში ასპარეზობა დაასრულა. თორნიკე შენგელიამ და მისმა თანაგუნდელებმა მოქმედი ჩემპიონის „ფენერბახჩეს“ დამარცხება ვერ შეძლეს.

„ბასკონიამ“ ორი დღის წინათ სერიის მესამე მატჩი მოიგო და სხვაობა შეამცირა, რითაც ანგარიშის გათანაბრების შანსი გაუჩნდა, მაგრამ...

„ფენერმა“ პირველი ტაიმი მაღალ დონეზე ჩაატარა და დიდ შესვენებაზე 16-ქულიანი უპირატესობით გავიდა. რა გასაკვირია, რომ თურქებმა მოპოვებული ფორა აღარ გაანიავეს. ერთადერთი, რაც ვიტორიელებმა მოახერხეს, ჩამორჩენის შემცირება გახლდათ — 83:92. ამრიგად, „ფენერბახჩემ“ ბასკური გუნდი სერიაში 3:1 დაამარცხა და ოთხთა ფინალში გავიდა, სადაც, ბუნებრივია, ტიტულის შენარჩუნებას ეცდება.

თორნიკე შენგელია სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა და პარკეტზე 25 წუთი გაატარა. ხსენებულ დროში ჩვენებურმა 11 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება გაახერხა.

თორნიკემ 4-დან 3 ორქულიანი და 7-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო მარგი ქმედების კოეფიციენტმა 13 შეადგინა.

იმავე დღეს ოთხთა ფინალის კიდევ ერთი მონაწილე გამოვლინდა. კაუნასის „ჟალგირისმა“ შინ პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ 101:91 დაამარცხა და სერიაში 3:1 გაიმარჯვა. შესაბამისად, ლიტველები ევროლიგის საუკეთესო კვარტეტში აღმოჩნდნენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავტორბოლა

ბარსელონაში გამოცდიან

„მაკლარენის“ ფანები წლევანდელი მანქანის რეალურ შესაძლებლობებს პირველად ბარსელონის რბოლისას ნახავენ. ამის მიზეზი ისაა, რომ მოდიფიკაციები, რომლებსაც გუნდი ზამთრის ტესტების შემდეგ, სეზონის პირველი ეტაპისთვის გეგმავდა, ვერ მოესწრო და ესპანეთის დიდი პრიზისთვის გადაიდო.



აქამდე „მაკლარენის“ პილოტები გასული სეზონის მანქანის მოდიფიცირებული ვერსიით ასპარეზობდნენ, რომელზეც „ჰონდას“ აგრეგატი „რენოსამ“ შეცვალა. შარშან გუნდმა მთელ წელიწადში მხოლოდ 30 ქულას მოუყარა თავი. ამ სეზონის პირველ სამ რბოლაში კი უკვე 28 ქულა აქვს მოპოვებული და კონსტრუქტორთა პირველობაზე მეოთხე ადგილი უკავია.

მაგრამ ამის მიუხედავად, MCL33 კონკურენტუნარიანობით არ გამოირჩევა. ის შედარებით კარგია რბოლებში, მაგრამ კვალიფიკაციისას, სწორ მონაკვეთებზე სისწრაფე აკლია. ეს პრობლემა სწორედ ზამთრის ტესტების დროს გამოიკვეთა და მაშინ უოკინგელებმა სიტუაციის გამოსწორება მელბურნის რბოლისთვის დაგეგმეს.

„2018 წლის მანქანა ბარსელონაში გვეყოლება. იმედია, ეს ისეთი მანქანა იქნება, როგორის მოლოდინიც გვაქვს. ეს მანქანა ჩვენი გეგმის შესაბამისია. ვერ ვიტყვი, რომ ამით მიზანს ვერ მივაღწიეთ. მაგრამ ჩვენ მიზნების მიღწევის განრიგს ჩამოვრჩით. ეს ნიშნავს, რომ მანქანა, რომელიც ბარსელონაში გვეყოლება, ავსტრალიისთვის მზად უნდა ყოფილიყო. მოკლედ, ამჟამად შარშანდელი მანქანის ევოლუციური ვარიანტით ვასპარეზობთ, ახალი კი, იმედია, ისეთი იქნება, როგორის მოლოდინიც გვაქვს“, — ამბობს გუნდის რბოლების დირექტორი ერიკ ბუიე.

ყოველივეს მიუხედავად, „მაკლარენმა“ სამივე რბოლაში მოახერხა ქულების დაგროვება, ეს კი ზრდის იმის მოლოდინს, რომ, ბარსელონის რბოლიდან მოყოლებული, ის უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გახდება. რა თქმა უნდა, იდეალურ შემთხვევაში უოკინგელები „მერსედესთან“ და „ფერარისთან“ გატოლებას ისურვებდნენ, მაგრამ უფრო რეალური იქნება, თუ მათი პილოტები ჯერ „რედ ბულზთან“ გათანაბრებას შეძლებენ. პირველ სამიზნედ მათ სწორედ „წითელი ხარები“ ეყოლებათ, რადგან ორივე გუნდი ერთი და იმავე ძრავებით ასპარეზობს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

იმედი ბოლოს კვდება

ლონდონის „არსენალში“ არსენ ვენგერის 22-წლიანი ეპოქა სრულდება — ფრანგი მწვრთნელი პრემიერლიგის ფინიშის შემდეგ დაემშვიდობება „მეთოფეებს“.

ბუნებრივია, ნისლიან ალბიონთან გამოთხოვება ამბიციურ სპეციალისტს ამაღლებულ ნოტაზე სურს, საამისოდ კი ევროპის ლიგის მოგება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ჩინებულ სტიმულს წარმოადგენს.

„არსენალი“ — „ატლეტიკო“ 1:1

რანგით მეორე ევროტურნირის სასტარტო შეხვედრაში მოვლენები

ისე განვითარდა, უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი — თანამემამულე მსაჯმა ტურპანმა უკვე მე-10(!) წუთზე სტუმრებს ხორვატი მცველი ვრშალკო გაუძევა, ხოლო მალევე მის კვალს კოლეგა დიეგო სიმეონეც გაუყენა.

ასეთი სიუჟეტისა და მთელი რიგი სახიფათო მომენტების განიავების შემდეგ ლოგიკურად გამოიყურებოდა თაურით გატანილი ის გოლი, რომლითაც მე-60 წუთზე ასევე ფრანგმა ლაკაზეტმა მასპინძლები დააწინაურა — 1:0. წარმატებით ფრთაშესხმულმა „ემირეითს სთედიუმის“ ბინადრებმა იერიშებს უმატეს, ზურგი მოაშიშვლეს და სტუმართა „სამფეროვან“ ბომბარდირ გრიზმანს უწყინარ ვითარებაში საპასუხო ბურთის გატანის საშუალება მისცეს — 1:1.

ასეთი სასჯელი ინგლისური კლუბის საფინალო შანსებს, რომელიც ლიონში გაიმართება, მკვეთრად ამცირებს, თუმცა, ხომ იცით, იმედი ბოლოს კვდება.

„მარსელი“ — „ზალცბურგი“ 2:0

პირველი ნახევარფინალური რაუნდის შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ავსტრიული ზღაპარი, ეტყობა, დასასრულს მიუახლოვდა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ „რედ ბულზის“ შვილობილმა კლუბმა წინა ეტაპზე ასევე ორბურთიანი ჩამორჩენა ამოუტრიალა „ლაციოს“.

სხვათა შორის, სტუმრებმა ყინჩად დაიწყეს თამაში „ველოდრომზეც“, მაგრამ...

საპასუხო მატჩები 3 მაისს მოეწყობა.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

მეგოლფეებსაც იზიდავს

ეპატაჟურობითა და სიცანცარით სახელგანთქმული სომხური წარმოშობის ამერიკელი მოდელი და მსახიობი კიმ კარდაშიანი აცხადებს, რომ მას თავისი დიდებული და მსუყე სექსუალური ცხოვრების მანძილზე ყველაზე მეტად გოლფი და მეგოლფე მამაკაცები იზიდავდა და ფიქრობს, რომ ეს ახლაც ასეა.

კიმ კარდაშიანს აქამომდე იმდენ მამრთან ჰქონია მეგობრული თუ ბუღრაობით ურთიერთობა, რომ გასაკვირიც კი იქნებოდა, მათ შორის მეგოლფეებიც რომ არ ყოფილიყვნენ, სხვა სფეროების წარმომადგენელ ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ოყლაყებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

შეერთებულ შტატებში იმასაც ამბობენ, კარდაშიანი ხშირად სექსუალურ თავგადასავლებს თავადაც თხზავდა, ბულვარული მედიის ყურადღების ცენტრში მუდმივად რომ ყოფილიყოო. ამ ქალისგან გასაკვირი არაფერია, მაგრამ გამოგონება, აბა, რაში უნდა დასჭირვებოდა, როდესაც დღენიადაგ იმას აკეთებდა, რაც წიგნ „ემანუელას“ 1-დან 230 გვერდამდე წერია.

როსტომ რაჭველიშვილი

ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 68 520 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალეს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	45 938 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	4 593.8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	4 794 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს. გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. დ) სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ნოსირი-გეჯეთი-ნოქალაქევის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზით. ე)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოტიანეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ტეხურზე, „ტეხურისპირის“ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $P+C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 141 240 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოტიანეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	94 692 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	9 469,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	9 669 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) მასალის მოპოვება მდინარის კალაპოტიდან უნდა მოხდეს სპეციალური მიწამწოვი ტექნიკის საშუალებით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ინერტული მასალის მოპოვებისას განახორციელოს გზის საფარის აღდგენითი სამუშაოები. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი სხვა პირობები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. საქორჭიოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია -P , მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა სამივე უბანზე - 85 950 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. საქორჭიოს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	57 624 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	5 762,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10 % თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 962 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 4

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოების

		დაწყებამდე ინერტული მასალის გატანა აწარმოოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასთან წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით. სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ნოსირი-გეჯეთი-ნოქალაქევის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზით. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძველი სენაკის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ტეხურზე, „ტეხურისპირის" ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია B+C$_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 50 910 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძველი სენაკის მიმდებარე ტერიტორია,
8	აუქციონის საწყისი ფასი	36 337 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3 633,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 834 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	4 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №5		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) ინერტული მასალის მოპოვება ობიექტის მთელ ფართობზე ყოველწლიურად არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს (სიმძლავრე); დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი სხვა პირობები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ჟონეთის ტერიტორია, მდ. რიონზე „რიონის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (სამივე უბანზე ერთად) - 419 580 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ჟონეთის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	281 299 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	28129.9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10%	28 330 ლარი
	თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 6		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი სხვა პირობები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. შკედის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია -P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 36 165 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. შკედის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	27 524 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2 752.4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10 % თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 952 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 7		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების

		ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბუკნარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. გუბაზეულის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 67 410 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბუკნარის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	45 194 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	4 519.4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	4 719 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 8		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით
		და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო მაკვანეთის (სოფ. კვირიკეთი) მიმდებარე ტერიტორია, მდ. ბჟუჟის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 33 840 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო მაკვანეთის (სოფ. კვირიკეთი) მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	25 755 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2 575.5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 10 % თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 776 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 9		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით; ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შარდომეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 80 250 მ^3.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შარდომეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	53 802 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	5 380.2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 10 % თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 580 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 10		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში; ე) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება; ვ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას; ზ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაღაროსკარის ტერიტორია, მდ. ფშავის არაგვის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 22 740 მ^3).

7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მაღაროსკარის ტერიტორი
8	აუქციონის საწყისი ფასი	18 484 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 848.4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 048 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით; ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს „მიწამწოვი“ ტექნიკის გამოყენებით; გ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; დ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქ სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყლის ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 64 380 $მ^3$).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქ სამტრედიის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	43 162 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	4316.2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	4 516 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 25

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).ე ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვაჭალათის (სოფ.ლიხაური) მიმდებარე ტერიტორია, მდ. აჭისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 64 740 $მ^3$).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვაჭალათის (სოფ.ლიხაური) მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	43 404 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	4 340,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	4 540 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 26

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა

		მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვეშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მაშავერაზე, ,,ქვეშის“ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 138 900 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვეშის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	93 123 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	9 312,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	9 512 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 27		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ; ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქალაქი ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილსა და დოსააფს შორის, 14, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ^3/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქალაქი ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილსა და დოსააფს შორის, 14
8	აუქციონის საწყისი ფასი	118 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	11,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	259 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 28		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ; ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2018 წლის 20 მარტის MIA 4 18 00649399 წერილით განსაძღვრული სალიცენზიო პირობები. ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაზარლოს ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ^3/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაზარლოს ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	118 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	11,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	259 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის	25 წელი

	მოქმედების ვადა	
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 29

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია განახორციელოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შედგენილობაზს; ბ) ლიცენზიის მიღებიდან 3 (სამი) წლის ვადაში, მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა; გ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 16 მარტის №1/6 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდისა და ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება; დ) მარაგების დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოს სანიტარული ზონების დაცვა; ე) ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; ვ) ვინაიდან №1 ჭაბურღილი გამოსავალი მდებარეობს მდ. გუდამაყრის ჭალა-კალაპოტში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია განახორციელოს ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება და დამცავი ნაგებობის მოწყობა. ზ) ექსპლუატაციის პროცესში უნდა აღიკვეთოს წყლის უმიზნოთ დაღვრა; თ) ლიცეზნიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილების შემოღობვა. ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მარაგების დამტკიცების შემდეგ დამტკიცებული მარაგების ფარგლებში აითვისოს საბადოს მთლიანი რესურსი; კ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს მინერალური წყლის საბადოსა და წყლის ჩამომსხმელ საწარმოს შორის წყლის ტრანსპორტირება, მხოლოდ მათი დამაკავშირებელი მილსადენის საშუალებით. ლ) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; მ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; ო) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; პ) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილების თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილების შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც; რ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით; ს) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. თოლერაანის მიმდებარე ტერიტორია (ჭაბურღილები №1 და №2), მიწისქვეშა მინერალური წყლის შესწავლა-მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. თოლერაანის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 30

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ; ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გეგუთის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 825 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გეგუთის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	59 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	5,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	230 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 30 აპრილს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 28 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 28 მაისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ეპიტაფია

კალამდაუშრობელი მანდილოსანი

დალი კოკაია-ფანჯიკიძის ხსოვნას

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მთარგმნელი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **დალი ალექსანდრეს ასული კოკაია-ფანჯიკიძე.** ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი აღიარებული და უპირობო ლიდერი, რომელიც ქართულ მწერლობას ამდიდრებდა გერმანულენოვანი მწერლობის ლიტერატურული შედევრების თარგმანებით და ამით საკუთარი, მნიშვნელოვანი წვლილიც შეჰქონდა მის წინსვლასა და განვითარებაში.

დალი კოკაია-ფანჯიკიძე დაიბადა 1937 წლის 23 მარტს თბილისში. 1954 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-10 ქალთა საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე (გერმანული ენის განხრით), რომელიც წარჩინებით დაასრულა 1959 წელს. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დალი ფანჯიკიძე სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა და ყველგან დიდი პროფესიონალიზმითა და საკუთრი თავისადმი მომთხოვნელობით გამოირჩეოდა.

დალი კოკაია-ფანჯიკიძის სამწერლო დებიუტი 1960 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „დროშაში“ გამოაქვეყნა ჰაინრიხ ბიოლის „ლოენგრინის სიკვდილი“. მას შემდეგ მისი ლიტერატურული თუ მეცნიერული ტექსტები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო თუ მეცნიერულ პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

შეიძლება თამამად თქმა, რომ დალი კოკაია-ფანჯიკიძემ დიდი ღვაწლი დასდო მეოცე საუკუნის გენიალური გერმანელი მწერლისა და მოაზროვნის თომას მანის შემოქმედების ქართულად ამეტყველებას. მან მართლაც დიდებულად თარგმნა „ბუდენბროკები“, „ჯადოსნური მთა“, „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“ და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართული ენის ძალმოსილება, რომელსაც დიახაც რომ ძალა შესწევს, ნებისმიერი ურთულესი ნაწარმოები ქართულ კალაპოტში მოაქციოს და შეუნარჩუნოს ორიგინალის სიღრმე და სინატიფე... დალი კოკაია-ფანჯიკიძე სრულად ჩაწვდა თომას მანის ურთულეს სულიერ სამყაროს, მის განწყობილებებს, რიტმიკას, სახეთა სისტემას, ავტორისეული ენისა და პერსონაჟთა ენობრივი პორტრეტების ძირითად სტილურ ნიშნებს.

დალი კოკაია-ფანჯიკიძე კონცეპტუალური მთარგმნელი იყო და მის შემოქმედებაში ძალზე გაჭირდება შემთხვევითი ავტორებისა თუ ნაწარმოებების თარგმანების ხილვა. მაქს ფრიშის „ჰომო ფაბერი“ და „ვიქნები თუნდაც განტებაინი“, ულრიხ პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ–ს ახალი ვნებანი“, ჰერმან ჰესეს „ფიქრი და განსჯა“ (ესეები), რაინერ მარია რილკეს წერილები, ფელიქს ბრაუნის „ფილოსოფიური ლირიკა“, ბარბარა ნოიბერტის „მოგონებათა ქალაქი“, ალფრედ დიობლინის, იორგ ფედერშპილის, ჰუგო რასის მოთხრობები, სიბილე ბერგის რომანი „ნორას შია“, ინგებორგ ბახმანის მოთხრობები და ლექსები – ყველა ამ ნაწარმოების ქართულ თარგმანს დალი ფანჯიკიძის მადლიანი ხელი ატყვია, მისი მწერლური ნიჭიერების კვალი ამჩნევია. მუდამ გვაოცებდა, რა ზუსტად აღიქვამდე ეს შესანიშნავი მთარგმნელი ორიგინალის ყველა თავისებურებას, მათში არსებულ უნატიფეს ნიუანსთა ერთობლიობას.

დალი კოკაია-ფანჯიკიძე ამავე დროს იყო უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერი და გატაცებით იკვლევდა მხატვრული თარგმანის თეორიის ურთულეს პრობლემებს. 1970 წელს გამოკვლევისათვის „გერმანული და ქართული ენების შეპირისპირებითი სტილისტიკის საკითხები და მხატვრული თარგმანის პრობლემა“ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა, ხოლო 1994 წელს ნაშრომისათვის „სტილის ეკვივალენტობის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური პრობლემები“ – დოქტორისა. აღიარებით სარგებლობს მისი ისეთი მონოგრაფიები, როგორიცაა „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“, „ენა, თარგმანი, მკითხველი“... დალი ფანჯიკიძის ესეები თომას მანზე, ჰერმან ჰესეზე, მაქს ფრიშზე გამოირჩევა დახვეწილი გემოვნებით და ტაქტით, ერუდიციითა და ფართო თვალსაწიერით.

დალი კოკაია-ფანჯიკიძე იყო სრული პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, სადაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა გერმანული ენის კათედრას. არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის, ალმანახ „საუნჯის“ სარედაქციო კოლეგიის, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს ფილიალის გამგეობის, მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის ბიუროს წევრად.

დალი კოკაია-ფანჯიკიძის მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება აღინიშნა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით. იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ქართველ მწერალთა ხსოვნაში მუდამ იცოცხლებს დალი კოკაია-ფანჯიკიძის – დიდებული მწერლის, მეცნიერის, მანდილოსნის ნათელი ხსოვნა.

საქართველოს მწერალთა კავშირი
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

ხონის მუნიციპალიტეტის 3 სოფელში გაზიფიცირების სამუშაოები დასრულდა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ რომეო მიქაუტაძემ, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ გრიგოლ დალაქიშვილმა, ხონის მუნიციპალიტეტის მერმა ლადო ჯუხრაძემ და კომპანია „სოკარი ჯორჯია გაზის“ დირექტორმა აზერ მამმადოვმა სოფლებში: დიდ გუბში, პატარა გუბსა და შუა გუბში ახლადაშენებული გაზგამანაწილებელი ქსელი დაათვალიერეს.

აღნიშნულ სოფლებში, კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზმა“ 25,5კმ სიგრძის საშუალო წნევის გაზსადენი ააშენა, რის შედეგადაც სოფლებში მცხოვრებ 500მდე ოჯახს ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა.

დღეის მდგომარეობით იმერეთის რეგიონში აშენებულია 1890კმ სიგრძის საშუალო წნევის გაზსადენი, რამაც 40 ათასამდე ოჯახს მისცა ბუნებრივი აირის მოხმარების საშუალება.

შეგახსენებთ, რომ 2014 წელს, ბუნებრივი გაზის ქსელზე მიერთების ტარიფი 600-დან 400 ლარამდე შემცირდა. მოქალაქეებს შემცირებული ტარიფის გადახდა 25-ლარიანი პორციებით 16 თვის განმავლობაში შეუძლიათ. მომსახურების ღირებულებაში შედის ბუნებრივი გაზის ერთი წერტილის მოწყობა.

სანთელი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია იუწყება გამოჩენილი ლიტერატორის და მთარგმნელის, პროფესორ

დალი ფანჯიკიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა იზიარებს ომის ვეტერანებთან და მათ ოჯახებთან ურთიერთობის საკითხებში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მრჩევლის რამინ ბულისკერიას მწუხარებას ძმის

როლანდ ბულისკერიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

შვილები ნანა, ზურაბ, ნინო ღავთაძეები, შვილიშვილები ზურაბ ღავთაძე, დავით ალიევი, ძმისშვილები, დისშვილები, რძალი ლიანა კვინიკაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გიორგი (ჟორა) ღავთაძის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 28 IV, 14 სთ, განსვენებულის ბინიდან.

ძმისშვილები ავთანდილ, ამირან ღავთაძეები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან ბიძის

გიორგი (ჟორა) ღავთაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მწუხარებაში მყოფ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

საუბრობენ მკვლელობის ვერსიაზე

თურქეთში ნაპოვნი საქართველოს მოქალაქის ლუხუმ ჯანჯარიას ცხედარი ჩამოასვენეს. როგორც გარდაცვლილის შვილი ლევან ჯანჯარია აცხადებს, მამამისი ქართველებმა მოკლეს, თუმცა, ვის მიერ, ან რა მოტივით მოკლეს ის, მისთვის უცნობია. როგორც ჯანჯარია აღნიშნავს, მას მამის ამოცნობა გაუჭირდა, რადგან ცხედარს დაზიანებები აღენიშნება.

ცნობისთვის, მამაკაცის ცხედარი სტამბოლის ერთ-ერთ სკვერში იპოვეს. 47 წლის კაცი თურქეთში სამუშაოდ ნაცნობის დახმარებით 10 დღის წინ წავიდა.

ჯანჯარიას ოჯახი დროულ გამოძიებას ითხოვს.

სულიერება

აღდგომიდან IV, განრღვეულის კვირიაკე

29 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს განრღვეულის კვირიაკეს, რომელიც აღდგომის მეოთხე კვირიაკეს აღინიშნება.

...იესო ქრისტე ნავით მივიდა თავის ქალაქში. მაშინვე მიჰგვარეს მას სარეცლით განრღვეული. იხილა იესომ მათი რწმენა და უთხრა დავრდომილს: გამხნევდი, შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები. ამის შემხედვარე ზოგი მწიგნობარი გულში ამბობდა: ღმერთს გმობსო იგი. იესო კი მიხვდა მათ განზრახვას, მან უთხრა მათ: რატომ იზრახავთ ბოროტს თქვენს გულში? ძეს კაცისას შესწევს ძალა ცოდვების მიტევებისა. ასე უთხრა განრღვეულს, დავრდომილს: აღდეგ, აიღე შენი სარეცელი და წადი შენს სახლში. განრღვეული ადგა მაშინათვე და წავიდა თავის სახლში.

საგულისხმოა, რომ იესო ქრისტემ განკურნა ქალი, რომელიც თორმეტი წელი იტანჯებოდა სისხლის დენით, მიუახლოვდა ზურგიდან და მის სამოსს (კალთას) შეეხო, ის გულში ამას ამბობდა: თუ შევეხები მის სამოსს, მეშველებაო. ხოლო იესო მობრუნდა, დაინახა იგი და უთხრა: გამხნევდი, შვილო, შენმა რწმენამ გადაგარჩინა შენ.

აღსანიშნავია, ისიც რომ ამ ქალთან ერთად განიკურნა გოგონა, ბრმა, მუნჯი და ეშმაკეული. ამასთან ერთად იესო ქადაგებდა სასუფევლის სახარებას.

...და, როდესაც ბევრი ხალხი იხილა, იესომ უთხრა მოწაფეებს: ეევდრეთ სამკალის უფალს, რათა მომკალნი მოავლინოს თავის სამკალში.

გიული ლიპარტია

ორი მუზის მსახური

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ამას წინათ ვამცნეთ ლიზი ბუდაღაშვილის ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გამართულ ახალგაზრდა კომპოზიტორთა პირველ საერთაშორისო კონკურსზე. ახლა კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ, ამჟამად სომხეთიდან. ვანაძორის ხელოვნების მუზეუმის მესვეურებმა მიიწვიეს ლიზი, რათა მან თავისი არაჩვეულებრივი ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მოაწყოს ვანაძორის საექსპოზიციო სივრცეში. 18 წლის შემოქმედისათვის ეს უკვე მე-4 პერსონალური გამოფენაა. 2016 და 2017 წლებში მას პერსონალური გამოფენა ჰქონდა ავსტრიის დედაქალაქ ვენის ხელოვნების მუზეუმში, ხოლო 2017 წლის მიწურულს – გერმანიის ქალაქ ფრანკფურტის კინოს მუზეუმში. თბილისის საკრებულოს მიერ ჩატარებულ კონკურსში „თბილისი 2017“ ლიზის ფერწერამ სპეციალისტების აღფრთოვანება გამოიწვია და იგი დიპლომანტი გახდა. საინტერესოა, რომ ლიზი არამარტო ღებულობს ცოდნას დილიჟანის სახელოვნებო კოლეჯში, სადაც ამჟამად ის იმყოფება, არამედ ადგილობრივ სკოლაში ბავშვებს მასტერკლასებს უტარებს და თავის გამოცდილებას უზიარებს. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯში საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვს, მან საზოგადოებრივი საქმიანობისთვისაც მოიცალა და თავის თანაკურსელებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო სომხეთში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში.

რევაზ თოფურია
574 91 28 44



საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ პოეტის ერთი ლექსი

მწვანე ტბასთან



იოსეგ ნონეშვილის გახსენება

მე და იოსეგ ნონეშვილს ერთხელ მწვანე ტბასთან,
შეხვედრა გაგვიმართეს იქაურმა მწყემსებმა,
გვიკითხეს და გვიკითხეს რვეულების დასტა,
კინაღამ აგვატირა კოჟრიანმა ლექსებმა.

მერე მოვინახულეთ დიდაჭარის ეილა,
მერე საგულდაგულოდ ყველამ დაგვიყვავა,
მასპინძლობა ითავა ქალბატონმა ლეილამ,
იქვე სახელდახელოდ მოგვიდუღა ყავა.

მერე მწყემსმა ცხვარი ჩამოჰკიდა ხეზე,
ჩამოჰკიდა, როცა გამოღადრა ყელი,
იოსებს შეეცოდა და წამოიჭრა ზეზე,
მალე სუფრა გაშალეს მჭადითა და ყველით,

ქინძითა და ნიორით, ხაშლამით და მწვადით,
ჩვილი ყველი კაი მაღში აურიეს ციცხვით,
იმ დღეს ყველა ჩვენგანს პოეზია გვწვავდა,
პოეზიით ვიწვოდით, არა მხოლოდ სიცხით.

და როდესაც იოსები დაიღვარა ლექსად,
პოეზიის მადლი გადაედო ქოხებს,
პოეტი დაემსგავსა ანგელოზის ფრესკას,
როცა პოეზიით გული მოიოხა.

„ბორანი“ მოგვიმზადა ქალბატონმა ლეილამ,
მერე თავი ყველას მოგვაწონა „ხავიწმა“,
ისე გამოგვათრო დიდაჭარის ეილამ,
სტუმრები რომ ვიყავით, ლამის დაგვავიწყდა.

იოსები იძახოდა კარდენახში ვარო,
აქაური ღვინო კახურს როგორ ჰგავსო,
თავზე წამოგვადგა დიდაჭარის მთვარე,
მთვარე იყო ბადრი და პირთამდე სავსე.

მერე, როცა ბნელი დაეუფლა ხრამებს,
შუაღამის ნისლი მოერია მნათობს,
გოდერძის სასტუმროში გავათიეთ ღამე,
დილით ნიაზის ნივით წამოვედით ბათომს.



ზოთა ზოიძე,
ქ. ბათუმი

დუბაის აეროპორტში ორი ბოთლი ვისკი 1,2 მლნ დოლარად გაიყიდა

დუბაის აეროპორტში, გადასახადებისგან გათავისუფლებულმა მაღაზია Le Clos-მა ვისკის ორი ვინტაჟური ბოთლი გაყიდა, რომლის ღირებულებამაც 4,4 მლნ დირხამი, ანუ დაახლოებით 1,2 მლნ დოლარი შეადგინა.

ვისკი The Macallan-1926-ის ორ განსხვავებულ ბოთლს მხატვრების პიტერ ბლეიქისა და ვალერიო ადამის მიერ შესრულებული ეტიკეტი ჰქონდა. როგორც Lovin Dubai წერს, ვისკის ბოთლები უცნობმა კოლექციონერმა შეიძინა.

The Macallan-1926 ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ვისკი, რომელიც 1986 წელს ჩამოისხა, თუმცა მანამდე კასრებში იყო მოთავსებული.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ხვრინვის წამალი

— რას უჩივით?

— ღამე ისე ვხვრინავ, რომ ჩემივე ხვრინვა მაღვიძებს და ვეღარ ვიძინებ, რას მირჩევდით?

— სხვა ოთახში დაიძინეთ.

შეკითხვა

ბავშვი იძინებს.

— დედიკო, უკვე შემიძლია დაძინება, თუ ჯერ იავნანა უნდა მიმღერო?

თეატრი და ცხოვრება

— ჩემი ცხოვრების უბედნიერეს საათებს თეატრს ვუმადლი.

— ეგრე ხშირად დადიხარ თეატრში?

— მე არა, ჩემი ცოლი დადის.

ახლობლებისთვის

— რამე კარგი თუ გიკეთებია შენს ცხოვრებაში?

— როგორ არა, შენ ცოლად მოგიყვანე!

იასონი

— იასონ, აკვარიუმში თევზებს წყალი თუ გამოუცვალე?

— არა, დედიკო, რაც იქ ასხია, ჯერ ისიც არ დაულევიათ!

ფიზიკის გაკვეთილზე

— მითხარი, რა განსხვავებაა ელვასა და ელექტროობას შორის?

— ელვის ფულს არ ვიხდით.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4640; ევრო - 3.0007;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4383;
100 რუბლი - 3.9209; თურქული ლირა - 0.6053;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4527;
1000 სომხური დრამი - 5.1014.

ამინდი 28 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+24
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge